სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 31 ივლისი 2006 №174 (2796) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინი, უჯიგრო და გამოწერილი

მეთვრამეტე ეროვნული ნაწილ-ნაწილ დაიწყო

ზესტაფონში ჩემპიონატის გახსნა უცაბედმა პრობლემამ გააჯანჯლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ასე: მე-18 ეროვნული ჩემპიონატი აღმართს შეუყვა. არ დაგავიწყდეთ, თითო ტური შვიდმატჩიანი იქნება, წლეულს ხომ 14 გუნდია უმაღლეს ლიგაში. ამ თოთხმეტიდან კი შაბათს რვამ ითამაშა და ოთხიც დღეს გააგრძელებს, ხოლო ორ გუნდს მოგვიანებით ვნახავთ — ლაპარაკია „სიონსა“ და „ოლიმპზე“. ბოლნისელები ხომ საჩემპიონთალიგოდ სამშაბათს ბულგარულ „ლევსკის“ ეთამაშებიან და ორ ფრონტს, აბა როგორ გასწვდებოდნენ...

ჩემპიონატი კი ერთი მინი-სენსაციით დაიწყო: თელავის „კახეთმა“ დებიუტანტ თბილისის „მერანთან“ შინ წააგო. აბა, „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ საშინაო მოგებები გამოწერილივით ჰქონდათ, აი, „დილა“ და „ბათუმი“ კი უჯიგრო 0:0-ით გაიყარნენ...

პირველი ტური და პირველი დიდი ანგარიში: თბილისის „დინამომ“ „ბორჯომი“ 3:0 გაანადგურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე სწრაფი არც ისე სწრაფია?!

ჯასტინ გეტლინს სამუდამო ემუქრება

ჯერ ფლოიდ ლენდისი, ახლა ჯასტინ გეტლინი — ერთ კვირაში ზედიზედ ორ სახელოვან ამერიკელზე აგორდა დოპინგსკანდალი და ორივეგან საქმე ტესტოსტერონს ეხება. ლენდისის შემთხვევაში განმეორებითი ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა და თავად „ტურ დე ფრანსის“ ახალი ჩემპიონიც კატეგორიულად უარყოფს მამაძაღლობას, ხოლო რაც შეეხება გეტლინს, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონის, 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდის თანაავტორის საქმე შავადაა — ის ადრეც იყო აკრძალულ პრეპარატებთან კავშირში შემჩნეული და ახლა, დიდი შანსია, სამუდამო დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრას ხელი.

პარეირა მწვრთნელივით მოიქცა

სამხრეთ აფრიკამ ისტორიაში ბრაზილია ჩაიწერა

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკაში ჩატარდება. ჰოდა, მასპინძლებმაც თადარიგი უკვე დაიჭირეს — შაბათს სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ოფიციალურად გახდა კარლოს ალბერტო პარეირა, 63 წლის ბრაზილიელი, რომელმაც გერმანიის მუნდიალის დასრულებისთანავე დატოვა ბრაზილიის ნაკრები.

„ეს ისტორიული დღეა სამხრეთაფრიკული ფეხბურთის ისტორიაში. ჩვენ ტოპ-კლასის მწვრთნელი გვყავს“ — განაცხადა სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოლეხი ოლიფანტემ.

„უარის თქმა ნაღდად არ შემეძლო, ჩემს ადგილას ნებისმიერი მწვრთნელი ასე მოიქცეოდა. გაწვრთნა იმ ქვეყნის ნაკრები, რომელიც მუნდიალის მასპინძელია, უდიდესი პატივია“ — შეაგება პრეზიდენტს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პარეირამ.

მაშ ასე, პარეირა და აფრიკა იწყებენ...

რუდი ვოიტოვიჩი



„ოლიმპიაშტადიონი“ პოპ-ვარსკვლავებმა დაიტაცეს

ამერს სტადიონი მადონამ წაართვა

ჰერტა უკვე თბილისშია

მადონაო, „როლინგ სტოუნზიო“, რობი უილიამსიო — ამ და სხვა მეგავარსკვლავების კონცერტების გამო „ჰერტა“ — „ამერის“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი 10 აგვისტოს ბერლინის განთქმულ „ოლიმპიაშტადიონზე“ არ შედგება — ასე იუწყებიან გერმანული საინფორმაციო საშუალებები. ეს შეხვედრა, სავარაუდოდ, ბერლინის „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკის“ 30-ათასიან სტადიონზე შედგება.

„ოლიმპიაშტადიონზე“, რომელსაც რეკონსტრუქცია მსოფლიოს ამ ჩემპიონატისთვის ჩაუტარდა და 74 500 მაყურებელს იტევს, ამჟამად მოედნის საფარი მთლიანად აღებულია და, როგორც ვთქვით, იქაურობა პოპ-ვარსკვლავებს აქვთ დათმობილი. თუმცა რომელ სტადიონზე გაიმართება „ჰერტა“ — „ამერის“ შეხვედრა, ბერლინელებს თბილისელთათვის ჯერ საბოლოოდ არ უცნობებიათ.

სამაგიეროდ კი, უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის „ამერი“ — „ჩიხურას“ დღევანდელ მატჩს გლდანში „ჰერტას“ შეფ-სკაუტი რუდი ვოიტოვიჩიც დაესწრება და მომავალ მეტოქეს საქმეში ნახავს. ურთიერთშეთანხმებით, ვოიტოვიჩი თან „ჰერტას“ ბოლო რამდენიმე მატჩის ფირს ჩამოიყოლებს, უკან კი სანაცვლოს წაიღებს.

მოკლედ, „ამერი“ და „ჰერტა“ საქმეს შეუდგნენ...

კოგა ინასარიძე

ჰერტამ სეზონი მარცხით დაიწყო

ჭირვეული მარსელინიო ამერთან ვერ იჭირვეულებს

ჰამბურგი 1:0 ჰერტა

1:0 კომპანი (52)

ჰერტა: ფიდლერი, ჩაპედი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი (ედე 55), დარდაი, ა. შიდტი (ნოინდორფი 70), კაირო, ფილბერტო (სამბა 80), ბაშთურქი, პანტელიჩი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: მაჰდავიკია, შიმუნიჩი

მსაჯი: ვინჩი

15 000 მაყურებელი

შალკე 1:დდ. (პენ. 9:8)

ლევერკუზენი

0:1 როდრიგესი (29ს.ჯ.), 1:1 ბორდონი (37)

შალკე: ფ. როსტი, გ. ვარელა (ბოეგნიში 64), ბორდონი, დ. როდრიგესი (აბელი 46), **კობიაშვილი**, ჰამიტ ალტინტოპი, ბაირამოვიჩი, იოზილი (ბაუმიოჰანი 77), ჰალილ ალტინტოპი, ლოვენკრანდსი, ლარსენი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: კასტრო, როლფსი, მადუნი

მსაჯი: ჰამერი

23 195 მაყურებელი

ნახევარფინალის წილისყრა

1 აგვისტო: ვერდერი — ჰამბურგი;
2 აგვისტო: ბაიერნი — შალკე

მარსელინიო თბილისში აღარ ჩამოვა, ტრაპიზონში ჩავიდა...

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ამერის“ მეტოქე ბერლინის „ჰერტას“ სეზონი საშინაო ფრონტზეც დაეწყო და მყის ხელი მოეცარა.

გერმანიაში ლიგის თასი ბუნდესლიგის ექვს საუკეთესო გუნდს შორის თამაშდება. ლიგის თასის პირველ ეტაპზე ბუნდესლიგაში პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი არ მონაწილეობენ და გასულ უქმეებზე მიუნხენის „ბაიერნს“ და ბრემენის „ვერდერს“ არ უთამაშიათ.

„ჰერტა“ კი „ჰამბურგს“ გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა. ჰამბურგელთაგან თავი ბელგიელმა ვინსენ კომპანიმ გამოიჩინა. „ჰერტა“ პირველ ტაიმში ყოჩაღობდა და რამდენიმე საგოლე მომენტიც გაანიავა — ბერლინელთა ბრაზილიელ მცველ ჟილბერტოს „ჰამბურგის“ მეკარე საშა კირშტაინმა აუღო მეტად ძნელი ბურთი, ხოლო ილდირაი ბაშთურქმა ძელს შეაწყვიტა დარტყმული.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლიგის თასის მეორე შეხვედრაში ლევან კობიაშვილის „შალკემ“ „ლევერკუზენს“ აჯობა. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი გელზენკირხენელმა „ხუმარებმა“ 9:8 იმარჯვეს — კობიაშვილმა ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი.

და კიდევ ერთი საინტერესო ამბავი „ჰერტაზე“— გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ბრაზილიელ მარსელინიო თურქულ „ტრაბზონსფორში“ გადავიდა. ტრანსფერის ღირებულება 2,5 მილიონი ევროა. ეს 31 წლის შემტევი ნახევარმცველი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო „ჰერტაში“, მაგრამ ჭირვეული ხასიათითაც გამოირჩეოდა — საშობაო და საზაფხულო არდადეგებიდან დაგვიანებით ბრუნდებოდა გუნდში. მარსელინიო „ჰერტაში“ 2002 წლიდან თამაშობდა და 155 ბუნდესლიგურ მატჩში 65 გოლი გაიტანა.

დავით თავართქილაძე

იმედაშვილმა საყრდენი მიხალიკს, იუსუფს და კორეას უნდა გამოაცალოს

ამ უქმეებზე უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტური გაიმართა და 21 წლის დავით იმედაშვილმა პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა კიევის „დინამოში“ — უკრაინის უტიტულოვანესმა გუნდმა სტუმრად ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ 5:0 მოუგო, იმედაშვილმა კი ბოლო ექვსი წუთი ითამაშა...

— ძალიან გამიხარდა, პირველად ვითამაშე ოფიციალური მატჩი კიევის „დინამოში“. შანსს კიდევ მომცემენ და ალბათ გამოვიყენებ კიდეც.

— რა პოზიციაზე ითამაშე?

— ცენტრალურ საყრდენ ნახევარმცველად. სეზონისწინა შეკრებაზე ხან მარცხენა საყრდენი ვიყავი, ხან მარცხენა მცველი, ხანაც მარცხენა ნახევარმცველი, თუმც ახლა მწვრთნელები მეუბნებიან, უფრო ცენტრალურ საყრდენად გვჭირდებიო.

— ამ პოზიციაზე შენი კონკურენტი ვინ არის?

— კონკურენტი არაერთია. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მიხალიკი, ნიგერიელი იუსუფი და ბრაზილიელი კორეა — უფრო ეს ორი ლეგიონერია ჩემი მთავარი კონკურენტი, ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან.

— „მეტალურგის“ ქართველებზე რას იტყოდი?

— დავით კვირკველიამ მარცხენა მცველად ითამაშა, ხოლო ფორვად ირაკლი მოდებაძეს საგოლე მომენტი ჰქონდა. ზაპოროჟიეში საზეიმო განწყობა იყო, ახალი სტადიონი ამ თამაშით გაიხსნა.

— 0:5 ზაპოროჟიელთა ზეიმს ალბათ ვეღარ გააგრძელებდა — უკრაინაში „დინამო“ და „შახტარი“ სხვა გუნდებზე კვლავაც ერთი თავით მაღლა დგანან?

— ეგრეა, ეს ორი გუნდი დანარჩენებზე აშკარად გამორჩეულია. ისე, მგონი, „დინამო“ „შახტარზე“ უკეთესი გუნდია.

— ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ლატვიურ „მეტალურგსთან“ განაცხადში იყავი და არ გითამაშია — „დინამოში“ შენს ევროდებიუტს როდისთვის ელი?

— ძალიან მინდოდა „მეტალურგსთან“ თამაში, 2 აგვისტოს კიევში საპასუხო მატჩია და იქნებ მაშინ ვითამაშო. „მეტალურგსის“ შემდეგ სერიოზული მეტოქე გველის — „ფენერბაჰჩე“. ვფიქრობ, ამ შეხვედრებში მომცემენ თამაშის საშუალებას.

— ტრავმირებული ოთარ მარცვალაძე როდის განაახლებს ვარჯიშს?

— მარცვალაძეს მყესი ჰქონდა დაჭიმული და ახლა გაცილებით უკეთესადაა, ვარჯიშს ალბათ ორსამ დღეში შეძლებს.

— კიევის „დინამოში“ ფიზიკურ დატვირთვებზე ლეგენდები დადის — მართლა ძალიან დიდი დატვირთვებია?

— შეკრებაზე მართლაც დიდი დატვირთვები იყო და საქართველოს ჩემპიონატიდან აქ მოსულს თავიდან გამიჭირდა, ახლა კი უკვე შევეჩვიე. რაც შეეხება სტილს, კიევის „დინამო“ კვლავ თავისებური, ტრადიციული მანერით თამაშობს.

— ევროპული გუნდების უმეტესობა თამაშის წინა დღეს ბაზაზე არ იკრიბებიან. მანდ როგორაა?

— აქ სხვანაირადაა — ნებისმიერი თამაშის წინა დღეს გუნდი ბაზაზეა შეკრებაზე. ახლა მე ჯერ ჯერობით სულ ბაზაზე ვარ, რადგან, სანამ ბინას მომცემენ აქ ვცხოვრობ.

დავით თავართქილაძე

დემეგ დაიწყო

გიორგიმ სტალი გადუგლა

დონეცკის „მეტალურგში“ დაბრუნებულმა გიორგი დემეტრაძემ უკრაინის უმაღლეს ლიგაში პირველი გოლები გაიტანა — გუშინ დონბასელებმა ალჩევსკის „სტალს“ უმასპინძლეს და ჩვენიანის დუბლით 2:1 დაამარცხეს. დემეტრაძემ მე-17 და 78-ე წუთებზე იყოჩაღა — ჯერ ახლოდან გაიტანა, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ნელი, მაგრამ უზუსტესი დარტყმით იხეირა. „დემემ“ სრულად ითამაშა და ამ ორი გოლის გარდა რამდენიმე მომენტი კიდევ ჰქონდა, სტალელი გიორგი ციმაკურიძე კი 84-ე წუთზე შეკიდა მოედანზე.

კახა შალამბერიძე

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს პირველობა ფეხბურთში
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
ეროვნული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

1 წრე. 1 ტურ

„მადლობა ყველას, „დინამოს“, თანაგუნდელებს, ფეხბურთის ფედერაციას, გულშემატკივრებს“ — „დინამოს“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ მატჩის დაწყებამდე ასეთი სიტყვა წარმოთქვა — 37 წლის ირაკლი ზოიძემ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა — მან „დინამოში“ ათი სეზონი დაყო...

დინამო: მომზადებაში ნუ დაგვეტოლებით, ბორჯომი: მხოლოდ პირველი ნახევარი

თბილისი. 29 ივლისი. 17.30. მეხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

დინამო 3:0 ბორჯომი

1:0 ხუციშვილი (41), 2:0 კაშია (67ჯ), 3:0 მერებაშვილი (86)

დინამო: ლორია, ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, ნავალოვსკი, შ. გრიგალაშვილი, ნერგაძე, მ. ხუციშვილი (გ. მერებაშვილი 67), ა. კობახიძე (ლ. ხმალაძე 78), ახალაია (მ. ბობოხიძე 72), ს. იაშვილი	**ბორჯომი:** ჭურაძე, საჯაია, ბაქრაძე, გარუჩავა, ი. კობახიძე (დონდოლაძე 65), ავალიანი, ნაკანი (თედიაშვილი 80), შ. ჯიქია, ქარქოზაშვილი, ფურთუხია, დათვაძე (სუხიაშვილი 86)
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; გიგბური, აკობია, ჯ. დვალი	*სათადარიგონი:* გოგიჩაიშვილი; ტალახაძე, ლაზარიშვილი
მწვრთნელი: კახა კაჭარავა	**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: იაშვილი (57), დონდოლაძე (81)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

დავით თავართქილაძე

ახლა კი „დინამოში“ ახალგაზრდების ჯერია — „ბორჯომთან“ დინამოელთა სასტარტო შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელის ასაკი 21 წელს არ აღემატებოდა.

„დინამოს“ მეტოქე იყო გუნდი, რომელმაც უსახსრობის გამო წინა სეზონის შემდეგ ფეხბურთელთა ბირთვი ვერ შეინარჩუნა და რიგიანად ვერ მოემზადა მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის.

„ბორჯომი“ პირველ ტაიმში ღირსეულად უძალიანდებოდა მეტოქეს, შეიძლება ითქვას, არაფერში ჩამორჩებოდა, მათ შორის, არც ბურთი ფლობის ხანგრძლივობაში.

„დინამოს“ თამაშის დალაგება უჭირდა, ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდა და 33-ე წუთამდე სახიფათო მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა — გეგი გარუჩავას შეცდომის შემდეგ სანდრო კობახიძე სერგო ჭურაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და შორეული კუთხისკენ არაზუსტად გაგზავნა ბურთი.

ამ ეპიზოდმა თითქოს გაახელა „ბორჯომი“ და სტუმრებმა ერთიორჯერ მწვავედ უჩხვლიტეს მასპინძლებს. „ბორჯომი“ მეტწილად თემურ ფურთუხიას, დავით დათვაძისა და შოთა ჯიქიას აქტიურობით უტევდა.

თამაშის ხასიათი ისეთი იყო, „ბორჯომს“ ცუდს ვერაფერს უქადდა, მაგრამ ბორჯომელთა დაცვამ როგორც კი ჩათვლიმა, გოლით დაისაჯა — ლადო ახალაიას ჩაწოდებულს მიხეილ ხუციშვილმა დაუხვედრა თავური — 1:0.

შესვენების შემდეგ გამოჩნდა, რომ „ბორჯომს“ ბატარეები დაუჯდა, „დინამო“ კი კვლავაც მხნედ და ქორფად გამოიყურებოდა და ასეც უნდა ყოფილიყო — სად „დინამოს“ მოსამზადებელი პირობები და სად „ბორჯომის“.

გააქტიურდა დინამოელი თავდამსხმელი სანდრო იაშვილი — მან ჯერ ამბროზიოს ფლანგურ ჯარიმას მიაყოლა თავური და ოდნავ გადააცილა ხარიხას, მერე კი „ბორჯომის“ მცველებთან ძალისმიერ ბრძოლაში იმარჯვა და პენალტი მოინაგრა — დინამოელთა კაპიტანმა შოთა კაშიამ მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა ჭურაძეს, რომელმაც ბურთის მიმართულება ამაოდ გამოიცნო.

დინამოელებმა გამარჯვება ირწმუნეს, ორჯომელებს კი თამაშის შემოსაბრუნებელი არაქათი გამოცლილ ჰქონდათ — ასეთი იყო ფონი დარჩენილი წუთებისა.

დავით დათვაძის დარტყმა გიორგი ლორიამ გაუუნებლა, გიორგი ნავალოვსკის შორიდან გასროლილს სიზუსტე დაეკლდა — მესამე გოლამდე გამოსარჩევი ეს მომენტები იყო.

და წერტილიც: შოთა გრიგალაშვილმა კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი და გიორგი მერებაშვილმა მესამედ დაამწუხრა ბორჯომელები.



მიხეილ ხუციშვილმა (№10) ბორჯომელებს პირველივე ტაიმში წაუხდინა ხასიათი

ბაბუკა ჯეფილაძის ფოტო

გიო ახვლედიანის

სვეტი

კარს მოგვადგა, დგას თუ მიდის

საბჭოურ სტილში რომ დავიწყოთ სვეტი, ასე იქნება: „კარს მოგვადგა რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში“.

რით უნდა განსხვავდებოდეს ის წინასგან და საერთოდ, ყოველი ახალი რით განსხვავდება?

ზოგადად, ჩემნაირი თვალით ამ განსხვავების დაჭერა ძნელია, უფრო ღრმა მცოდნეს და ისეთ კაცს, ვინც საქართველოს ჩემპიონატის ყურებას მიეჩვია, მეტის თქმა შეუძლია.

ადრე საქართველოს ჩემპიონატი ჰგავდა კინოფილმ „ფეოლაში“ მიმდინარე შეჯიბრს, სადაც „უქიმერიონი“ ყველას ამარცხებდა. მერე უქიმერიონობა დამთავრდა, მაგრამ უკეთესობა ხარისხში არ გამოჩენილა.

ამის მიმოხილვას ახლა მე ვერ მოვყვები. მოწინავე ქართული გუნდების ტესტი სწორედ ივლის-აგვისტოა. ყველამ ვიცით, რომ თუნდაც საშუალო გუნდებს ქართული კლუბები ვერაფერს უხერხებენ და შემოდგომის ევროპაში ვერ აღწევენ. ეს უკვე წლებია, გრძელდება, თუ არ ჩავთვლით თბილისის „დინამოს“ შარშანწინდელ შევარდნას უეფას ჯგუფში.

ანუ ჩვენთან ჯერჯერობით ასეა, რომ ზაფხულში გამოჩნდება ხოლმე წინსვლის ამბავი.

მარცხიც არის და მარცხიც (როგორც ძველად იტყოდნენ). ჩვენ წაგებაში კარგის დანახვა ვისწავლეთ, ვინიდან სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

არიან გუნდები, რომლებიც უკეთესობისკენ მიდიან. ძალიან ნელა, მაგრამ მაინც უკეთესობისკენ. მაგრამ არიან გუნდები, რომლებიც, შეიძლება, საერთოდ ვერ მოხვდნენ საქართველოს ლიგაში. მაგალითად, ისეთი ტრადიციული გუნდი, როგორიცაა ფოთის „კოლხეთი“. ფოთელებს ლიგაში სამონაწილეო ფული არ აქვთ და ამბობენ, არც არავინ ჩანს, რომ დაგვეხმაროსო.

ფოთი როგორი გუნდი უნდა იყოს, იცით? ყველაზე მდიდარი.

მისი თბილისში ჩამოსვლა შიშის ზარს უნდა სცემდეს აქაურ კლუბებს.

ფეხბურთის განვითარება დღეს ფული და ჭკუაა. რა ჭკუაც უნდა გქონდეს, უფულოდ ვერაფერს გააწყობ. ბოლო მომენტში ვინმეს რომ ენამუსა და „კოლხეთი“ ლიგაში დარჩენილიყო, ეს მაინც არ იქნებოდა ფეხბურთის განვითარება.

ფეხბურთის განვითარება საქართველოში გაძლებაც არის: კლუბის პატრონი არ უნდა დაიღალოს, უნდა ითმინოს, უნდა იფიქროს, თან სულ უნდა მდიდრდებოდეს და მერე საქმე გამოვა.

ასე რომ, იწყება რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში და ჩვენ გვინდა, რომ ის წინაზე უკეთესი იყოს.

როგორ? ნაბიჯ-ნაბიჯ, ფეხმოტეხილი კაცი რომ ხელახლა სწავლობს სიარულს.

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
18
I წრე. 1 ტურ

ზესტაფონში დროშამ და გვარამაძემ იფრინეს

ზესტაფონი. 29 ივლისი. 17.30. ცენტრალური. 4 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 2:0 ლოკომოტივი

1:0 გოცირიძე (28), 2:0 ფიფია (56)

ზესტაფონი: გ. ჭანტურია, შ. ღონღაძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ბ. ნოზაძე, გ. ჭელიძე (ბენაშვილი 84), ბ. გოცირიძე, ფიფია (ძამსაშვილი 78), იონანიძე
სათადარიგონი: კვასხვაძე, დაუშვილი, გელაჭეიშვილი, პანოვი, გავაშელაშვილი
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

ლოკომოტივი: გვარამაძე, მიხაილიდი (ბუდაღაშვილი 69), თუთბერიძე, ებრალიძე, გ. კვახაძე, ვ. გოჩაშვილი (ბარბაქაძე 87), ჩივაძე, გულორდავა, მ. უღენტი, მზეიძე, გუშარაშვილი (დეისაძე 75)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი, მენაბდე, ბახტაძე
მწვრთნელი: ამირან მინაშვილი

გაფრთხილება: გუშარაშვილი (40), კვახაძე (59), თუთბერიძე (90)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯაფარიძე; კ. ჭაჭუა

დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

ზაზა ცინცაძე ზესტაფონიდან

თამაშის დაწყება ოდნავ დაგვიანდა — ახალი საფეხბურთო სეზონის გახსნისას, ტრადიციულად, საქართველოს ჰიმნის თანხლებით დროშის აღმართვა უნდა ყოფილიყო, თუმცა გუნდების კაპიტნებს დროშა მოულოდნელად მოუწყდათ სამაგრიდან და ჰაერში აუფრიალდათ. მეორე მცდელობის შემდეგ ხუთჯვრიანი დროშა აღმართეს...

მოკლედ, ამ ყველაფრის მერე თამაში დაიწყო. პირველი ტაიმის თითქმის ნახევარმა ძირითადად მოედნის ცენტრში პოზიციურ ბრძოლაში ჩაიარა.

28-ე წუთზე კი მასპინძლები დაწინაურდნენ: ბექა გოცირიძემ კარიდან წინ გამოსული დავით გვარამაძე შენიშნა და თავზე გადაავლო ბურთი — 1-0.

ათიოდ წუთში იმავ გოცირიძეს ისევ შეეძლო გატანა — სევასტი თოდუამ მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, იქ კი თავით ყველას ტანმორჩილმა გოცირიძემ აჯობა, თუმცა გვარამაძემ ორიოდ მეტრიდან მოიგერია ბურთი, დამატებაზე ისევ გოცირიძემ იმარჯვა და ამჯერად ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს. ზურაბ იონანიძის შორიდან გასროლილი გვარამაძემ ნახტომში მოიგერია. 56-ე წუთზე კი ზესტაფონელებმა მეორედ გაიხარეს — გიორგი თურმანიძემ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და გოგი ფიფიას მიუვიდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და 2-0.

ამ გოლმა თბილისელები საბოლოოდ გატეხა და ხუთიოდ წუთში კახა ჩხეტიანის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გიორგი თურმანიძემ მცირედით ააცილა კარს. მალე გოცირიძესაც მართებდა გატანა, მაგრამ მეკარემ აუღო.

მატჩის მიწურულს ზურაბ იონანიძის სახიფათო საჯარიმოს კვლავ გვარამაძემ მოიგერია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

თბილისელებს საქმე გოგი ფიფიამ მოუმთავრა

ბესიკი ციბაძისა ზესტაფონიდან

ნატანჯი ფრე

კმაყოფილი ხარ შენცა და მეცა

ტარიელ ზოთნიაშვილი გორიდან

მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი გორში, ტრადიციულად, სახელმწიფო ჰიმნითა და გუნდების კაპიტნების მიერ საქართველოს დროშის აწევით გაიხსნა...

მეტოქეები ერთმანეთს თითქმის მთლიანად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული შემადგენლობით დაუპირისპირდნენ. მატჩი ნელ ტემპში დაიწყო და მთლიანობაში უინტერესო გამოდგა.

მე-9 წუთზე ბათუმელებს გასატანად კარგი შანსი ჰქონდათ — ზურაბ ექონიამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოს ხაზთან კარის წინ მდგომ ოქრუაშვილს, რომლის შეუჩერებელი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

სტუმრებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს, სხვათაგან ტიაგო და ჯინჭარაძე გამოირჩეოდნენ, მაგრამ გორელთა დაცვა მათ შეტევებს უმკლავდებოდა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებსაც შეეძლოთ გატანა — 39-ე წუთზე ტლაშაძემ კარგად შენიშნა საჯარიმოში კურტანიძე, რომელსაც მეკარემ აჯობა. ხუთიოდ წუთში კი გორელთა კარი, რომ იტყვიან, სასწაულმა გადაარჩინა — ტიაგომ სახიფათოდ შეუტია და ბურთი საჯარიმოში მარტოდ დარჩენილ ჯინჭარაძეს მიაწოდა, რომელმაც სამი მეტრიდან თავით ააცილა.

მეორე ნახევარიც სტუმართა აქტიურობით დაიწყო. 52-ე წუთზე ტიაგო-ჯინჭარაძის მწვავე კომბინაცია თამაზ ილურიძის თავგანწირული ნახტომით და ბურთის მოგერიებით დასრულდა.

ტაიმის შუიდან მოთამაშეებს დაღლა დაეტყოთ. მწვრთნელებმა შეცვლები კი განახორციელეს, მაგრამ ამას თამაშზე დიდად არ უმოქმედია...

საბოლოოდ, ნატანჯი ფრე, რომელმაც ორივე გუნდი დააკმაყოფილა.

პრესკონფერენცია

ამირან გოგიტიძე: ახალი გუნდი გვყავს და სამუშაოც ბევრი გვაქვს. პირველი თამაშის კვალობაზე შედეგით კმაყოფილი ვარ, ქულა ავიღეთ. გორში თამაში კი, მოგეხსენებათ, ყველას უჭირს.

ოთარ კორღალიძე: „ბათუმს" მცირე უპირატესობა ჰქონდა, კარგი მომენტებიც შექმნა. შედეგით მეც კმაყოფილი ვარ. ჩვენი გუნდი ხეირიანად არც შეკრებილა, ამიტომ ყველაფერი მოსაწესრიგებელია.

გორი. 29 ივლისი. 17.30. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

დილა 0:0 ბათუმი

დილა	ბათუმი
თ. ილურიძე, ალ. ლაბაძე, ბალაშვილი, ნადირაშვილი, ლ. გოჩაშვილი (მასურაშვილი 51), საყვარელიძე, ტლაშაძე, სადაღაშვილი (აბრამიშვილი 70), კურტანიძე, ოლგესაშვილი, დ. თურმანიძე (გ. წინამძღვრიშვილი 67)	სომხიშვილი, ექონია, გოგიშვილი, გალოგრე, დუმბაძე, ნაჭყებია (აბაშიძე 88), ცანავა, ფარტენაძე (კუნჭულია 29), ჯინჭარაძე, ოქრუაშვილი (ხარაზი 67), ტიაგო
სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, ვარდოსანიძე, ბალიაშვილი, ლომიძე	*სათადარიგონი:* ბექთაშევი, ქორიძე
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე	**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ბალაშვილი (41), ჯინჭარაძე (65), ტლაშაძე (79)

გაძევება: ჯინჭარაძე (89)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

თბილისი. 31 ივლისი. 17.30. ამერი

ამერი — ჩიხურა

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; კ. ბერიძე, კ. გუდურაშვილი; ა. ნონიკაშვილი
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

ქუთაისი. 31 ივლისი. 17.30. ტორპედო

ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. სილაგავა; გ. ურუშაძე, ზვ. გურგენიძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

3:0 სიონის სასარგებლოდ...

ბოლნისელებმა ლევსკი გაასაჩივრეს

ბოლნისის „სიონმა" უეფაში საჩივარი აფრინა, სოფიაში „ლევსკისთან" კოშმარულ ვითარებაში მოგვიწია თამაშმა და ეგებ, ეს საქმე დაწვრილებით შეისწავლოთო...

რა მოხდა „ლევსკი" — „სიონის" მატჩისას „გეორგი ასპარუხოვზე", ცნობილი ამბავია. „ლევსკის" ულტრაფანობამ მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ანგარიში 1:0 იყო, ზურაბ ბათიაშვილის კარსუკან გადაინაცვლა, სადაც კაი ომობანა ატეხა. „სიონის" საჯარიმო მთლიანად კვამლში გაეხვა, ტრიბუნიდან მოედანზე ნასროლ პეტარდებსა და ქვებს თვლა არ ჰქონდა...

სიონელებმა ავსტრიელ არბიტრ ფრიც შტუხლაკს რამდენჯერმე სთხოვეს თამაშის შეჩერება, მაგრამ მსაჯი ჯიუტად ანიშნებდა, მატჩი გრძელდებაო. ბოლოს, როცა კვამლმა ბურთიც დამალა, შტუხლიკმა შეხვედრა რვა წუთით გააჩერა. სტადიონზე სპეცრაზმი გამოიძახეს, მაგრამ ფანობის დაშოშმინება კარგახანს ვერ მოხერხდა. მეტიც, რამდენიმე სპეცრაზმელი ტრიბუნიდან ნასროლი სკამებით დაშავდა.

ბოლნისელები წერენ, ასეთი ვითარებაში, თამაში შეუძლებელი იყოო. ამ საპროტესტო წერილს „სიონის" პრეზიდენტ გიორგი არევაძის ინტერვიუ მოჰყვა, რომელიც მან ერთ-ერთ შვეიცარიულ ტელეკომპანიას მისცა და სოფიაში მომხდარი დაწვრილებით აღწერა. ჰოდა, ამ საქმეზე არც უეფას სადისციპლინო კომიტეტს დაუყოვნებია რეაქცია. პროტესტისა და არევაძის ინტერვიუს შემდეგ უეფამ ბოლნისელებს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა, ხოლო „ლევსკი" — „სიონის" მატჩის დელეგატს თავისთან დასაკითხად უხმო. „ლევსკი" — „სიონის" საქმეში ჩართულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც.

აღსანიშნია, რომ „გეორგი ასპარუხოვზე" მომხდარის გამო „ლევსკიმ" მატჩის მეორე დღესვე ოფიციალურად მოიბოდიშა. თუმცა ფანობის საქციელის გამო „ლევსკი" მაინც რომ დაისჯება, ყველასთვის ნათელია. ჩვენთვის მთავარი ისაა, სასჯელი ბოლნისელთათვის რამდენად სახეირო გამოვა. როგორც ამბობენ, დიდი შანსია, „ლევსკის" „სიონთან" ტექნიკური 0:3 გამოუწერონო.

ვნახოთ, უეფას სადისციპლინო კომიტეტი ამ საქმის გარჩევას დღეს უნდა შეუდგეს.

ძოგა ინასარიძე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი I წრე. I ტური

თელავი. 29 ივლისი. 17.30. გივი ჩოხელი. 2 500 (ტევადობა 8 000)

კახეთი 0:1 მერანი

0:1 გაგუა (81ბ)

კახეთი: გ. იაშვილი, ტარუღაშვილი (მურველაშვილი 45), კობაიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე, კევლიშვილი, იმერლიშვილი (ბიძინაშვილი 80), დ. ბურდული, ნ. დავითაშვილი, სოსელია, არუდაშვილი	მერანი: გლუნჩაძე, ჯანგიძე (ოსიტაშვილი 30), კ. ხანიშვილი (ბურჯანაძე 69), სილაგაძე, დ. ხანიშვილი, სარალიძე, კვარაცხელია, ბესარაშვილი, გაგუა, კარსანიძე, ქორიძე (ქემაშვილი 90)
სათადარიგონი: ჩახუტაშვილი; ბურნაძე, გოჩა ლომიძე, ტეტიაშვილი, ცისკარიშვილი	სათადარიგონი: ლ. მანწკავა, ლ. გრიგალაშვილი, ცისკარაული
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი	მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: კარსანიძე (52), ბესარაშვილი (72), მურველაშვილი (81), კარსანიძე (84) კევლიშვილი (84)

გაძევება: კარსანიძე (84)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ზ. ხუციშვილი; დ. სანაია

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

თელავმა ოდენ თამაშამდე მოიგო

სამჭულიანი დებიუტი თერთმეტი მეტრისაა

გიორგი კაციტაძე თელავიდან

მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის გახსნას თელავი ამაღლებული განწყობით შეხვდა. თამაშის დაწყებამდე რაიონის გამგეობიდან თელაველი „პატრიოტები“ გივი ჩოხელის სახელობის სტადიონისკენ საქართველოს დროშებით და „კა-ხე-თი“, „კა-ხეთის“ შეძახილებით დაიძრნენ, ხოლო სხვები მანქანების სიგნალებით აღნიშნავდნენ ჩემპიონატის დაწყებას...

მატჩის პირველივე წუთებიდან ბურთს მასპინძლები დაეუფლნენ და უპირატესობაც მოიპოვეს. პირველი სახიფათო დარტყმა მე-7 წუთზე შეასრულეს თელაველებმა — ნიკა დავითაშვილმა ოდნავ ააცილა კარს. იმავ დავითაშვილმა მოგვიანებით ორი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა — ჯერ მეკარემ აუღო, მერე კი ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან მიზანი ვერ გაისწორა.

29-ე წუთზე თამაში ცოტა ხნით შეფერხდა — უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თბილისის „მერანის“ მცველმა ლაშა ჯანგიძემ ფეხი მოიტეხა და, სულ მცირე, სამი თვე მოუწევს უქმობა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ისევ შეეძლოთ გატანა, როცა დავით ბურდულის აქტიურობას მიხეილ სოსელიას ახლო მანძილიდან დარტყმა მოჰყვა, მაგრამ „მერანს“ ისევ გაუმართლა.

სრულიად განსხვავებული გამოდგა მეორე ტაიმი. „მერანმა“ თამაშის სადავეები ხელთ იგდო და ამას ალბათ ვეფხია ტარუღაშვილის ტრავმამაც შეუწყო ხელი — პირველი ტაიმის ბოლოს თელაველთა მცველი დაშავდა, თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და თბილისელებმაც ბლომად ნაპრალებს მიაგნეს „კახეთის“ დაცვაში.

შესამჩნევად ათამაშდა მერანელი ზაზა კარსანიძე: 51-ე წუთზე შესანიშნავი დრიბლინგის მერე დაარტყა და ოდნავ აცილა; მე-60 წუთზე კი მანვე პირისპირ გაიყვანა ქორიძე, თუმც მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა.

და აი, 81-ე წუთზე კარსანიძის აქტიურობის შედეგად „კახეთის“ კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც ვალერი გაგუამ ზუსტად დაარტყა — 0:1.

84-ე წუთზე მსაჯმა მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე კარსანიძე მეორე ყვითელი ბარათით გაამევა და ათი კაცით დარჩენილი „მერანი“ მთლიანად დაცვაზე გადაეწყო.

მასპინძლებს ძალიან უჭირდათ რაიმე ხიფათის შექმნა და შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. საამისო შანსი 87-ე წუთზე ბურდულს გაუჩნდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

პრემიერლიგაში

დავით ეჯიბიშვილი: თამაშის ხარისხით ნამდვილად არა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ. შეთამაშების პრობლემა გვაქვს, ბევრი ახალწვეული გვყავს და დრო დაგვჭირდება. გამარჯვება იოლი არ იყო, რთული, დაძაბული და საინტერესო თამაში იყო. ვულოცავ ყველას ახალი ჩემპიონატის დაწყებას და ღმერთმა ქნას, უფრო და უფრო ლამაზი ფეხბურთი გვენახოს.

ჯემალ მახარაშვილი: ყველას მივულოცავ ჩემპიონატის დაწყებას და ასევე „მერანს“ ვულოცავ გამარჯვებას. პირველ თამაშს ყოველთვის ახლავს გარკვეული დაძაბულობა. ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ: პირველში კარგად, მეორეში კი მოვისუსტეთ. ტარუღაშვილის ტრავმამ იმოქმედა გუნდზე. მთლიანობაში მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე უნდა ყოფილიყო. რას ვიზამთ, წავაგეთ, მაგრამ შეცდომებს გავანალიზებთ და აუცილებლად მოვუმატებთ.

კრილია ჩუმი ფავორიტია

დავით მუჯირი: არც ფარერებთან მოგვიგია და არც საფრანგეთ-იტალიასთან წაგვიგია

16 აგვისტო და ფარერებთან მატჩი ახლოვდება და სათქმელია, რომ ჩვენი ლეგიონერები ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის პირველ შეხვერას კარგ ფორმაში ხვდებიან. ეს ითქმის რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე ქართველებზეც — მათ შორის **დავით მუჯირზე**, რომელიც სამარის „კრილიას“ ლიდერად იქცა...



— „კრილია“ მეექვსე ადგილზეა, მაგრამ მეორეადგილოსან ცეესკასთან ოთხი ქულა აშორებს. შეუძლია თქვენს გუნდს თუნდაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება?

— ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. „კრილია“ ჩემპიონობის ფავორიტი ნაღდად არაა, მაგრამ სიურპრიზის შეთავაზება კი შეუძლია. სამწუხაროდ, ბოლო მატჩებში არ გვიმართლებს: ორი თამაშია, ბოლო წუთებზე ვუშვებთ გოლებს და გამარჯვების ნაცვლად ფრეს ვჯერდებით.

— ნალჩიკის „სპარტაკის“ ლიდერობას არავინ ელოდა. როგორ გგონია, შეძლებს გოგიტა გოგუასა და ალექსანდრე ჩიხრაძის გუნდი ტემპის შენარჩუნებას?

— ნალჩიკელები ზედიზედ იგებენ, თანაც დამაჯერებლად. რა ვიცი, აქაური პრესა მაინც შემთხვევითობად მიიჩნევს მათ ლიდერობას. მთავარ ფავორიტად ცეესკა ითვლება — ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობა ყველაზე ძლიერი ჰყავს და ფინანსურადაც სჯობნის სხვებს, მაგრამ რად გინდა, ოთხი მატჩია, არ მოუგია.

— **პირადად შენს თამაშზე რას იტყვი?**

— პროფესიონალი ფეხბურთელი მიღწეულით არასოდეს უნდა დაკმაყოფილდეს. კარგ სეზონს ვატარებ, მაგრამ უფრო მეტს ვთხოვ თავს. კლუბის ხელმძღვანელობა, მწვრთნელი და გულშემატკივრები მენდობიან და ჩემი სჯერათ.

— **გოჩა ხოჯავას საქმე როგორაა?**

— თბილისში წამოვიდა. მე გამოვაცილე და, როგორც მითხრა, სხვა ვარიანტები ჰქონია.

— **„კრილიამ“ დაიწუნა?**

— არა, პირიქით. მწვრთნელს მოსწონდა და მისი დატოვება უნდოდა, მაგრამ ხოჯავას სანაცვლოდ ფული იყო გადასახდელი და შეთანხმება ვეღარ შედგა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი.

— **16 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ფარერებს სტუმრად ეთამაშება...**

— ოღონდ იმის ილუზიას ნუ შეექმნით, თითქოს ფარერებში გასეირნება გველის. როგორც ვიცი, იქ ბევრ ნაკრებს დაუკარგავს ქულები.

— **წარმოგიდგენია, რა აჟიოტაჟი იქნება თბილისში საფრანგეთთან და იტალიასთან მატჩის წინ?**

— როგორც ფარერებთან არ ვთვლით წინასწარ მოგებულად თავს, ისე საფრანგეთ-იტალიასთან არ წავაგებთ [illegible] ჭამდე. უნდა ვიბრძოლოთ და პატ[illegible] შანსსაც კი ჩავეჭიდოთ. ზეიმი [illegible]ცხადია, თავისთავად იქნება — [illegible]ბილისში ხომ სუპერგრანდები [illegible]ამოდიან...

ილია ნანობაშვილი

ილიჩევეცი და ორი ოთხიანი ორბელაძეს

ბადრი ორბელაძის ფოტო

ლანჩხუთის „გურიას“, თბილისის „ლოკომოტივის“, „თბილისის“ და „დინამოს“ ყოფილი მცველი სერგო ორბელაძე უკრაინულ „ილიჩევეცში“ ჩაირიცხა. მარიუპოლურმა კლუბმა უკვე შეიყვანა ჩვენებური საჩემპიონატო განაცხადში და 44-ნომრიანი მაისურაც გადასცა.

შეგახსენებთ, რომ ორბელაძემ მაისის ბოლოს დატოვა „დინამო“ და ბედის საძიებლად უკრაინას მიაშურა. „ილიჩევეცამდე“ კი ივი ხარკოვის „მეტალისტში“ ისინჯებოდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

კახა შალამბერიძე

მათეს გოლი არ ეპარება

ასეთებიც ხდება: ხუთს უშვებს და საუკეთესოა

მათე ღვინიანიძემ 75 წუთი ითამაშა „მიუნხენ 1860“-ის შემადგენლობაში — „ლომებმა“ 2:1 მოუგეს ესპანურ „მალიორკას“. მათე მარჯვენა მცველად ირჯებოდა, მისი მინდვრიდან გასვლისას მიუნხენელები 1:0 იგებდნენ და სამ წუთში გაუშვეს გოლი.

წესით, ღვინიანიძე ამ დღეებში ოფიციალურად უნდა გახდეს „ლომების“ ფეხბურთელი — მას ყველა თამაშში მუდმივნომრიანი (28) მაისურა აცვია.

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი“ კი ტესტ-მატჩში 0:5 განადგურდა ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“. იშვიათი ამბავია: ხუთი გოლი გაუშვა გუნდმა და საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა მცველი — ზურაბ ხიზანიშვილი.

ლუკა თალაკვაძე

დიდავამ ვენტსპილსს მიაკითხა

გივი დიდავამ რომ თურქული „ქოჯაელისფორი“ დატოვა, ადრეც გამცნეთ. 30 წლის ნახევარმცველი ყაზახურ „ალმათიში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ ამ ტრანსფერიდან არაფერი გამოვიდა.

ამჟამად კი დიდავა ლატვიურ „ვენტსპილსშია“ გასინჯვაზე და ერთი მატჩიც ჩაატარა სარეზერვო გუნდში — მისმა გუნდმა 7:0 მოიგო, გივიმ კი ერთი გოლი გაიტანა. დიდავას ლატვიაში დარჩენის ამბავი დღე-დღეზე გადაწყდება.

ილია ნანობაშვილი

ᲑᲝᲜᲔᲠᲐ: ᲨᲝᲙᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲡᲐᲜ ᲡᲘᲠᲝᲖᲔ

ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲒᲘᲠᲔᲯᲐᲕᲡ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲮᲢᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ „მილანმა“ „პარმადან“ „სკუადრა აძურას“ მცველი დანიელე ბონერა იყიდა. 25 წლის ნიჭიერმა ფეხბურთელმა „აიაქსში“ გაშვებული იაპ სტამი უნდა შეცვალოს. მას, ჰოლანდიელის დარად, მარჯვენა ფლანგზეც ძალუძს თამაში და დაცვის ცენტრშიც.

„როსონერი“ ბონერას დიდი ხანი უტრიალებდა და საბოლოოდ მისი ყიდვა მას მერე გადაწყვიტა, რაც ლაციოელ მასიმო ოდოსთან არაფერი გამოუვიდა, ხოლო იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტა „ბარსელონაში“ გაექცა. ბონერა „სან სიროზე“ 2010 წლამდე დარჩება, ხოლო კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

„ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. ამგვარ რამეს არ ველოდი. „პარმასთან“ ერთად ვარჯიშზე ვიყავი, როედსაც ჩემმა აგენტმა დამირეკა და ყველაფერი მითხრა. თავიდან ხუმრობა მეგონა. თუმცა მერე დაუფიქრებლად მანქანაში ჩავხტი და კონტრაქტზე ხელის მოსაწერად გავეშურე. მისი პირობები, ჩემი ხელფასი და ამგვარი რამეები არც მაინტერესებდა, რადგან „მილანის“ ფანი ვარ და ამ გუნდში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი“ — თქვა „როსონერის“ ახალწვეულმა.

ბონერას პროფესიული კარიერა 1999-2000 წლების სეზონში „ბრეშაში“ დაიწყო. ბოლო ოთხი წელი კი „პარმაში“ გაატარა და კარგი თამაშით სისტემატურად იქცევდა გრანდების ყურადღებას. „მილანის“ გარდა, ნიჭიერი მცველით „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“, „ინტერი“ და „ლივერპული“ იყვნენ დაინტერესებულნი.

მოგეხსენებათ, თუ უეფამ „მილანი“ ჩემპიონთა ლიგაში დაუშვა, კლუბს 8-9 აგვისტოს „ცრვენა ზვეზდასთან“ ან „კორკ სიტისთან“ პირველი მატჩი ელის. თუმცა ბონერას გასული სეზონიდან ევროტურნირებზე ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს გამოყოლილი და ამ შემთხვევაში ვერ ითამაშებს.

„მის შეძენას ადრეც ვცდილობდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს არ ხერხდებოდა. ახლა კი დანიელე ოფიციალურად „მილანის“ ფეხბურთელია, რაც ძალიან გვახარებს. იმედია, იგი შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს და გუნდს დაეხმარება. ბონერა ახალგაზრდაა, მხოლოდ 25 წლის. ჰყავს მეუღლე და შვილი. ერთი სიტყვით, ნორმალური, ჩამოყალიბებული ადამიანია, რომელსაც ყველა პირობა აქვს, რომ ჩვენთან ერთად წარმატებას მიაღწიოს“ — აღნიშნა „მილანის“ გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ.

„მილანი“ თავდამსხმელის ძიებას აგრძელებს. „როსონერის“ კიდევ ერთი ძველ-ახალი კანდიდატი, მარკო დი ვაიო, დაუკავშირეს. „სან სიროს“ ბინადრები „ვალენსიას“ თავდამსხმელით ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲐᲥᲐᲒᲐᲫᲔ

ᲕᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „კიევოს“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კლუბი წამყვან მოთამაშეებს არ გაყიდის. მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულმა სკანდალმა და კალჩოპოლის ვერდიქტმა „მფრინავ ვირებს“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური აჩუქა და ამის გამო ვერონელები უფრო გაძლიერებაზე ფიქრობენ, ვიდრე ფეხბურთელების გაშვებაზე. ასეთი შანსი პატარა კლუბს, შესაძლოა, კარგა ხანს აღარ მიეცეს.

ამაური

„შემადგენლობის შენარჩუნებაზე მაშინაც ვფიქრობდით, როცა უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ. ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში მოგვიწევს თამაში და ეს დამატებითი მოტივაციაა. ასე რომ, წამყვან მოთამაშეებს ვერ შეველევით. განსაკუთრებით ამაურისა და სემიოლის ვგულისხმობ“ — განაცხადა „კიევოს“ სპორტულმა დირექტორმა ჯოვანი სარტორიმ.

ფრანკო სემიოლისა და ამაურის მრავალი მსურველი ჰყავთ რგორც იტალიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ... წილისყრამ „კიევოს“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფიის „ლევსკი“ ან ბოლნისის „სიონი“ არგუნა. შესაბამისად, ვერონელებს ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის ჩინებული შანსი მიეცათ და ახლა კლუბის გამოცვლას მაინცდამაინც, ალბათ, არც ფეხბურთელები დაიჟინებენ.

„ვფიქრობ, წილისყრაში გაგვიმართლა. შეიძლებოდა, ბერად უფრო რთული მეტოქე შეგვხვედროდა, მაგრამ ასე არ მოხდა და .ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ“ — დასძინა სარტორიმ.

უფრო ფრთხილობს „კიევოს“ პრეზიდენტი ლუკა კამპედელი: „მართალია, განსაკუთრებულად ძლიერი მეტოქე არ შეგვხვდა, მაგრამ ვიცით, რომ მძიმე ბრძოლა გველის. ჩემპიონთა ლიგაში, თან ამ ეტაპზე, იოლი თამაშები და სუსტი მოწინააღმდეგეები აღარ არსებობენ. ამიტომ რაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს შანსი გამოვიყენოთ და ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.“

ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ᲙᲐᲛᲝᲠᲐᲜᲔᲖᲘ ᲐᲚᲑᲘᲜᲝᲚᲔᲤᲔᲡ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲯᲓᲐᲜᲐ

ᲖᲚᲐᲢᲐᲜ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲝᲕᲘᲩᲛᲐ და მაურო კამორანეზიმ, სერია B-ში თამაში არ გვინდა, თავი დაგვანებეთო — ასეთი გახლდათ მოსამართლეთა მიერ დაქვეითებული „იუვენტუსის“ ორი ფეხბურთელის პასუხი კლუბის ხელმძღვანელთა შაბათის განცხადებაზე, რომ ისინი მეტი ფეხბურთელის გაყიდვას აღარ აპირებენ.

შვედი იბრაჰიმოვიჩის აგენტი მინო რიოლა: „აშკარაა, რომ ზლატანს ქვედა ლიგაში თამაში არ სურს, რაც „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ. ახლა ჩვენ მდგომარეობიდან გამოსავალს ვეძებთ“.

კამორანეზი კი გაცილებით კონკრეტული გახლდათ. გაიტალიელებული არგენტინელი არდადეგებს არგენტინაში ატარებს და ინტერვიუც იქაურ ტელევიზიას მისცა: „დაბლა ლიგაში ჩასვლა ძალიან დიდი მსხვერპლის გაღებასთან არის დაკავშირებული. აქამდე გარკვეული მასშტაბის სტადიონებსა და შეჯიბრებებს გახლდით დაჩვეული, შემდეგ კი ეს ყველაფერი მოულოდნელად ჩამოგვართვეს. არ მინდა უპატივცემულობა გამომივიდეს, მაგრამ „ალბინოლეფეს“ მსგავს გუნდებთან 20 ათასიან სტადიონებზე ვერ ვითამაშებ, არ შემიძლია. მსურს, ვითამაშო ისეთ გუნდში, რომლის მიზანიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაა და საერთოდ არ მადარდებს რომელი ქვეყნისა იქნება ეს გუნდი“.

სავარაუდოდ, როგორც იბრაჰიმოვიჩს ასევე კამორანეზის, გუნდის პოვნა არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან მათი შეძენის მსურველი მთელს ევროპაში მრავლადაა. მაგალითად, იბრაჰიმოვიჩის ყიდვა სურს „ინტერს“, ხოლო რუუდ ვან ნისტელროის მადრიდის „რეალში“ გაშვების შემდეგ არ არის გამორიცხული „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ გამოხატოს ინტერესი. ეგ კიდევ არაფერი, ამბობენ, რომ იმავ იბრაჰიმოვიჩს საკუთრივ „რეალიც“ სიამოვნებით შეიძენდა და არც „მილანი“ იტყოდა უარს.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსში“ მოხვედრამდე ბოსნიურ-ხორვატული წარმოშობის შვედი „აიაქსში“ თამაშობდა, საიდანაც 2004 წლის ზაფხულში შეუერთდა სერია A-ს. ახლა მისი სავარაუდო ფასი 25 მილიონი დოლარია.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონ კამორანეზის, მისით „ვალენსია“ და „ლიონი“ გახლავან დაინტერესებულნი. სხვათა შორის, მისი შემცვლელი „იუვენტუსს“ უკვე ჰყავს — „პარმადან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ანუ, სხვა სიტყვებით, კაპიკის დაუხარჯავად გადმოყვანილი მარკო მარკიონი.

მოგეხსენებათ, მთელი ეს დავიდარაბა კალჩოპოლის სკანდალმა გამოიწვია, სკანდალის ცენტრში კი სწორედ „ბებერი ქალბატონი“ მოექცა და ყველაზე მეტადაც დაისაჯა. სასჯელის პუნქტებს თავიდან ბოლომდე აღარ გავიმეორებთ, მაგრამ იმას შეგახსენებთ, რომ სერია B-ში დაქვეითების გარდა „შავთეთრებს“ ბოლო ორი ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს, რომელთაგან მეორე ანუ სულ ბოლო, 2005-06 წლებისა, „ინტერს“ გადასცეს საჩუქრად. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა „იუვენტუსის“ ყოფილმა ფეხბურთელმა მანუელე ბლაზიმ:

„ფრიად საკამათო გადაწყვეტილება მიიღეს. მგონი, ყველაფერს აჯობებდა ტიტული არავისთვის მიეცათ, რადგან, პირადად მე ყოველთვის ჩავთვლი, რომ ამ სეზონში ტიტული მე მოვიპოვე და იმაში, რომ ჩემპიონი სხვა გახდა, ვერავინ დამარწმუნებს“.

რაც შეეხება ჭორებს, თითქოს „ბებერი ქალბატონი“ „ტერნანას“ ვარსკვლავ ლუის ხიმენესს ყიდულობს, როგორც ირკვევა სიმართლესთან კავშირში არ არის.

„გაზეთებში წავიკითხე, რომ „იუვენტუსს“ ჩემი შეძენა აინტერესებს, მაგრამ სერია B-ში ჩასვლა ჩემთვის ნაბიჯის უკან გადადგმაა“ — განაცხადა ჩილელმა თავდამსხმელმა, რომელიც ბოლო ხუთი თვის განმავლობაში „ფიორენტინაში“ გახლდათ გაქირავებული, მაგრამ ახლა ქირის ვადა გაუვიდა და გამალებული ეძებს უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებელ გზებს. მის სახელს ყველაზე მეტად „ლაციოს“, „ინტერს“ და „პალერმოს“ უკავშირებენ. არ არის გამორიცხული ის იტალიის გარეთ, მადრიდის „ატლეტიკოში“, „ოსასუნაში“, „მონაკოში“ ან „პორტსმუთში“ წავიდეს.

ხოლო „ლივორნო“ „იუვენტუსისგან“ ნიკოლა ლეგროტალიეს ან იგორ ტუდორს შეიძენს. ეს მისი პრეზიდეტრისგან, ალდო სპინელისაგან შევიტყეთ:

„ჩვენ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებთან შეხვედრა გვაქვს დანიშნული, რომელზეც გავარკვევთ ამ ორიდან რომელს დაგვითმობენ ტურინელები“.

მოგეხსენებათ, ტუდორიცა და ლეგროტალიეც წლეულს დაუბრუნდნენ „სიენადან“ „ბებერ ქალბატონს“.

ᲙᲐᲐᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

ჯამბაზი ღირსეული კაცის იერით

რადიოდან ლანძღვა ისმოდა

ამას კი ნამდვილად არავინ ელოდა: „ლაციოს“ ყოფილმა ვარსკვლავმა და გმირმა, ვეტერანმა პაოლო დიდ კანიომ ბიანკონელესტის ანუ თეთრ-ცისფრების პრეზიდენტს, კლაუდიო ლოტიტოს და მწვრთნელ დელიო როსის შეუტია. საქმე ის გახლავთ, რომ დი კანიოს კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა და შესაძლოა, მწვრთნელთა ბრიგადაშიც ჩაწერილიყო, მაგრამ „ლაციოდან“ არავინ არაფერი შესთავაზა და მასაც სხვა არაფერი დარჩენოდა სერია C2-ის რომაულ კლუბ „ჩისკო რომაში“ გადასვლის გარდა.

„როსი მატყუარაა — განაცხადა დი კანიომ რადიო „სპაცო აპერტოსთან“ ინტერვიუში — მას ერთხელაც არ წამოსცდა, რომ მე ვჭირდები, რადგან თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. მწვრთნელად მართალია, დიდებულია, მაგრამ კაცად პრეზიდენტზე მეტად არ ვარგებულა“.

თუმცა, მთლად ესეც არ უნდა იყოს საქმე, რადგან ლოტიტოს ხსენებაზე დი კანიოს და არა მარტო მას, „ლაციოს“ ქომაგებსაც მწვავე რეაქცია აქვთ.

„ლოტიტოზე საუბარი „წითელი ჯვრის“ მანქანისთვის ცეცხლის გახსნას ჰგავს — დასძინა დი კანიომ — ის არის ჯამბაზი ღირსეული კაცის იერით“.

შეგახსენებთ, რომ ჯამბაზმა ღირსეული კაცის იერით, კალჩოპოლის მოსამართლეთაგან საფეხბურთო საქმიანობიდან ორწელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, ხოლო „ლაციო“ 2006-07 წლების კამპანიას მართალია სერია A-ში, მაგრამ მინუს 11 ქულით იწყებს.

პაპუნა კედია

ლაციო და ნიგერია

რომის „ლაციოს“ ახალგაზრდა ნიგერიელ ფორვარდ სტეფან მაკინვას დამატება სურს. გავრცელებული ცნობით, დედაქალაქელები აფრიკელის კონტრაქტის სანახევროდ გამოსყიდვას აპირებენ და მასში „პალერმოს“ 2,5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. თუმცა მაკინვას თვალი სერია A-ში დაბრუნებულმა „ტორინომაც“ დაადგა.

დიდი ხანია, „ლაციალე“ მაკინვას უტრიალებს, მისი ყიდვა რომაელთა მწვრთნელ დელიო როსის სურვილია, რომელსაც ნიგერიელთან ერთად „ატალანტაში“ უმუშავია და კარგად იცნობს. მაშინ სიცილიელთა ფორვარდი ბერგამოელთა რიგებში 6 თვით იყო განათხოვრებული და 17 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ეს 2005 წელს მოხდა და მაკინვამ გრანდების ყურადღება სწორედ მას მერე მიიქცია.

აღსანიშნავია, რომ მაკინვა მხოლოდ 23 წლისაა და იტალიაში გადასვლის შემდეგ უკვე მოასწრო „კომოს“, „რეჯანას“, „მოდენას“, „ჯენოას“, „ატალანტასა“ და „პალერმოს“ რიგებში თამაში.

კოკი კანდელაკი

სტეფან მაკინვა

ფლორენციაში მუქთა იას ვერ ნახავ

ფლორენციის „ფიორენტინა“ ლუკა ტონის არ უშვებს, მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ფორვარდმა უკვე არაერთხელ თქვა, გუნდიდან წასვლა მინდაო. გასულ სეზონში სერია A-ში 31 გოლის გამტან თავდამსხმელს „ინტერში“ გადასვლა სურს. თუმცა „იებმა“ მას კონტრაქტი შეახსენეს, რომლის თანახმადაც, იგი 2009 წლამდე „არტემიო ფრანკის“ ბინადართა საკუთრებაა.

„ზოგჯერ კლუბს კონკრეტული ფეხბურთელის სურვილის საწინააღმდეგოდ უწევს წასვლა. ტონის რამდენიმე შეთავაზება აქვს და წასვლა უნდა. მას განსაკუთრებიც „ინტერის“ წინადადება ხიბლავს, თუმცა ჩვენი პოზიცია მარტივია — ლუკას არ ვყიდით და გვსურს, რომ მან მომავალი სეზონიც „ფიორენტინაში“ გაატაროს“ — თქვა ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

„იებმა“ ყოფილი ფორვარდი გასულ ზაფხულს „პალერმოდან“ მხოლოდ 7 მილიონ გირვანქად იყიდეს. თუმცა 31 გოლის გატანის და მუნდიალზე კარგი თამაშის შემდეგ, ტონის მსურველთა რაოდენობაც გაიზარდა და ფასიც. წასვლა თავად ფეხბურთელს რომ სურს, ესეც ლოგიკურია. კალჩოპოლომ „ფიორენტინა“ ჩემპიონთა ლიგაში არ გაუშვა და მომავალ სეზონს მინუს 19 ქულით აწყებინებს. აპენინური პრესის ცნობით, „ფიორენტინა“ მის გასხვისებას იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ რომელიმე მსურველი დაახლოებით 18 მილიონ გირვანქას გადაიხდის.

პანტალეო კორვინო

პანტალეო კორვინო: „ჩვენი მიზანი ტონის შენარჩუნებაა. ერთადერთი, რამაც შეიძლება აზრი შეგვაცვლევინოს, სოლიდური წინადადება იქნება. ხოლო თუ ვინმეს ლუკას მუქთად შეძენა უნდა და ფიქრობს, რომ დავყაბულდებით, ცდება. ჩვენ ახლა რთულ ვითარებაში ვართ, შეგვიძლია, ამას ომიც ვუწოდოთ, მაგრამ ბრძოლაში უკან არ დავიხევთ.“

კოკი კანდელაკი

მოგზაურობა იტალიაში



იტალიის ნაკრების მწვრთნელ რობერტო დონადონის თქმით, „სკუადრა აძურას“ კარი ყველა ნიჭიერი ფეხბურთელისთვის ღია იქნება, რომელ კლუბშიც უნდა თამაშობდნენ ისინი. 41 წლის სპეციალისტმა ერთი დღე „უდინეზესთან“ ერთად გაატარა. იგი „ფრიულის“ ბინადართა ვარჯიშს დაესწრო და მაგალითად, იქაური ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა მოიყვანა.

„ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველას თანაბრად ექნება. ყურადღებას მხოლოდ გრანდებში მოთამაშე ფეხბურთელებს არ მივაქცევ. იაკინტამ მშვენივრად გვაჩვენა, თუ რა სასარგებლო შეიძლება გამოდგეს შედარებით პატარა კლუბის წევრი „სკუადრა აძურასთვის“. არც ძირითად შემადგენლობაში ექნება ვინმეს გარანტირებული ადგილი“ — თქვა „ლივორნოს“ ყოფილმა თავკაცმა.

დონადონი აპირებს ეს „მოგზაურობა“ გააგრძელოს და სხვა გუნდებსაც ეწვიოს სტუმრად. შეგახსენებთ, რომ მისი, როგორც მწვრთნელის დებიუტი 16 აგვისტოს ლივორნოში, ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

რობერტო დონადონი: „ჩემი ერთ-ერთი ამოცანაა, თავი გავაცნო საფეხბურთო სამყაროს, ცხადია, ძირითადად, იტალიის მასშტაბით. ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რათა მებრძოლი გუნდი ჩამოვაყალიბოთ.“

გიორგი კაკაგაძე

გლადიატორი ვუჩინიჩს დასდევს

იტალიური „რომა“ კალჩოპოლის განაჩენის წყალობით ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, რომლის დაწყებამდეც რამდენიმე ფეხბურთელის დამატება სურს. დედაქალაქელთა მწვრთნელის, ლუჩანო სპალეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ფორვარდის ყიდვაა. საუკეთესო კანდიდატი კი ჩერნიგორიელი მირკო ვუჩინიჩია, რომელიც არაერთი სეზონია, კარგი თამაშითა და გოლების სიმრავლით გამოირჩევა სერია A-ში, თანაც ახალგაზრდაა და სხვა კლუბებიც უტრიალებენ.

„ლეჩე“ მომავალ სეზონს სერია B-ში გაატარებს და ვუჩინიჩის შენარჩუნებას, ალბათ, ვერ შეძლებს. ამიტომ მისი მაქსიმალურად სარფიანად გაყიდვა უნდა. ამბობენ, „რომა“ მზად არის, 5,7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, ან უფრო ნაკლებ თანხას ანდრეა ჯაკომინი, ფაბრიციო გრილო და ალესიო ჩერჩი დაუმატოს. ლეჩელთა მოთხოვნა კი 5 მილიონი, ანაც 6,4 მილიონი და ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი — ალეანდრო როსი და სტეფანო ოკაკა ყოფილა.

აპენინური პრესის ცნობით, წესით, მოლაპარაკება კვირის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. „რომას“ ბევრი დროის დაკარგვა არ სურს და უნდა, ვუჩინიჩი, რაც შეიძლება, მალე შეუერთდეს დანარჩენ ფეხბურთელებს, რათა ადაპტაციის პერიოდი სეზონის დაწყებამდე გაიაროს.

„გლადიატორები“ ნახევარდაცვის გაძლიერებაზეც ფიქრობენ. მათ „ფენერბაჰჩეს“ განელ ლეგიონერ სტეფან აპიასთვის და ლანსელ ალიუ დიარასთვის დაუდგამთ თვალი.

აპიას აგენტი ფრენკ ტრიმბოლი: „რომა“ დიდი კლუბია და მჯერა, სტეფანს იქ კარგად თამაში შეუძლია. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე ბევრი წინადადება მივიღეთ, ერთ-ერთი „ჯალორონისგან“. „ფენერბაჰჩე“ აპიას თამაშით ძალიან კმაყოფილია და მისი გაყიდვა არ სურს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება.“

მირკო ვუჩინიჩი

„შემოთავაზება „რომასგან“ და „გალათასარაისგან“ მაქვს. ორივე მათგანს განვიხილავ, მაგრამ უკვე შემიძლია ვთქვა, რომ იტალიური კლუბი მირჩევნია. მოლაპარაკება გრძლედება ჯა რამდენიმე დღეში, ალბათ, რამე გადაწყდება“ — თქვა 25 წლის დიარამ.

კოკი კანდელაკი

კაპელოს ვგავარ?

კარლოს დუნგა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის რანგში პირველად გაესაუბრა ესპანურ მედიას. პენტაკამპეონელთა დამრიგებელს პორტუ ალეგრეში „მარკას“ ჟურნალისტებმა ჩააკითხეს. დუნგას გუნდი ერთადერთია მსოფლიოში, რომელმაც მუნდიალის მოგება ხუთჯერ შეძლო, თუმცა ახლახან დასრულებულ გერმანია 2006-ზე ბრაზილიელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ინტერვიუც ნაკრების შესახებ შეკითხვით დაიწყო

ბრაზილიის ფეხბურთის შეფი რიკარდუ ტეიშეირა და დუნგა

— რითი ეცდებით 2006-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ეროვნული გუნდის ფიასკოს გამოსწორებას?

— მსურს, ნაკრების თითოეულ წევრს მუნდიალის შესახებ სერიოზულად ველაპარაკო. უნდა მითხრან, ამ ზაფხულს რეალურად რა მოხდა.

— მარცხის მთავარ მიზეზად რა მიგაჩნიათ?

— სურვილი და მოტივაცია გვაკლდა, როგორც ნაკრების ფეხბურთელები მუნდიალის შემდეგ აღნიშნავდნენ... ეს დაუშვებელია ბრაზილიისთვის.

— მართალია, რომ ეროვნული გუნდიდან ვეტერანების გაშვებას აპირებთ?

— თუ საქმეს დასჭირდა, უკან არაფერზე დავიხევ, არც ერთ სახელოვან ვარსკვლავს არ მოვერიდები. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ფეხბურთელები თავიანთ საქმეს სულით და გულით ეკიდებიან. მე ჩემი სამწვრთნელო ფილოსოფია მაქვს და ვინც ამ ფილოსოფიას მოერგება, ნაკრებიდან დათხოვნის შიში არ უნდა ჰქონდეს. ფეხბურთში ყველაფერს დიდი მსხვერპლის ფასად მივაღწიე. თუ მსხვერპლის გაღება არ გინდა, ჩათვალე, რომ ყველა წამოწყება თავზე დაგემხობა...

— „ჟუგო ბონიტუ“, ანუ ბრაზილიელთა საქვეყნოდ ცნობილი ლამაზი თამაში... თქვენი მწვრთნელობისას უფრო შედეგს მიექცევა ყურადღება, თუ სანახაობრივ მხარეს?

— ფეხბურთელი მოგებისთვის შრომობს. მოთამაშე მაშინ იღებს მატჩიდან სიამოვნებას, როცა თამაშს მისი გუნდი იგებს და არა პირიქით. ჩემი ფილოსოფიის მიხედვით, წინ ჯერ გუნდური მუშაობა დგას, მხოლოდ ამის შემდეგ კი — ცალკეული მობურთალების ინდივიდუალიზმი. ტექნიკა მინდორზე აუცილებელია, ოღონდ ზომიერად.

— ნაკრების თავკაცად ისე დაინიშნეთ, რომ აქამდე არც ერთი, თუნდაც ბავშვთა გუნდის მწვრთნელიც კი არ ყოფილხართ. მეტისმეტად ხომ არ გარისკეთ?

— რასაკვირველია! თუმცა ვინ გითხრათ, გამოცდილ მწვრთნელებს დიდსაფეხბურთო ჯილდოებს პირდაპირ, უომრად აბარებენო? წარმატების გარანტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ, სამაგიეროდ, არის იურგენ კლინსმანის მაგალითი — მწვრთნელობის გამოცდილება არც მას ჰქონდა. თუმცა მუნდიალზე მშვენივრად წარუძღვა გერმანიის ნაკრებს. რახან დუნგა ადრე მწვრთნელი არ ყოფილა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულშემატკივრებმა მის გუნდზე ხელი ჩაიქნიონ.

— თქვენს გუნდში რონალდინიო, კაკა, ადრიანო და რონალდო ერთად ითამაშებენ?

— 4-2-4 სისტემის არ მჯერა. რა საჭიროა წინ ერთბაშად ოთხი მოიერიშის სირბილი. მე უფრო თანაბარი თამაშის მომხრე ვარ — ყველა უტევს და ყველა თავს იცავს. ბურთით თამაშისთვის ჯერ ბურთი მეტოქეს უნდა აართვა. ელემენტარულია ეს ყველაფერი...

— თქვენი ტაქტიკა კაპელოსეულს ჰგავს. აპირებთ იტალიელთან შეხვედრას?

— დიახ. ვაპირებ, რომ ესპანეთში ჩავიდე და ყველა იმ გუნდის მწვრთნელს გავესაუბრო, სადაც ბრაზილიელები თამაშობენ. კაპელოს „რეალში“ კი ექვსი ბრაზილიელია. მართალი გითხრათ, არ ვიცი, კაპელოს რითი მიმამსგავსეთ, თუმცა იტალიელის მუშაობის ტაქტიკას, საქმისადმი მკაცრ დამოკიდებულებას და საჭირო დროს მსხვერპლზე წასვლას დიდად ვაფასებ.

— ემერსონის „რეალში“ გადასვლა დაგვიანებული ხომ არ არის?

— არა. ემერსონი დღეს ზუსტად „რეალისთვისაა“ მომწიფებული. ითამაშა გერმანიაში, იტალიაში და ახლა უკვე ბედს ესპანურ პრიმერადივიზიონში ცდის. მერწმუნეთ, მადრიდმა ემერსონის ტრანსფერით ძალიან მოიგო.

— ეს ფეხბურთელი თამაშის სტილით კარლოს დუნგას წააგავს...

— ვფიქრობ, რომ ემერსონი ჩემზე უკეთესია. შეიძლება მგავს, მაგრამ დუნგაზე უკეთ თამაშობს.

— კაკას შესახებ რას ფიქრობთ? გჯერათ მისი „რეალში“ გადასვლა?

— ეს ნამდვილად არ ვიცი. არა მგონია, მადრიდმა მილანზე მეტი ბედნიერება მოუტანოს. მას მხოლოდ კარგი გუნდი სჭირდება.

— რონალდოსთან დაკავშირებულ პოლემიკაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— რონის სანერვიულო არაფერი აქვს. წარსულში რას აკეთებდა, არ მაინტერესებს, მთავარია, ჩემს ფილოსოფიას მოერგოს.

სამხრეთ ამერიკიდან სამხრეთ აფრიკაში

ოლეფანტმა პარეირას რიოში ჩაასვითხა

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა ოთხი წლით სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცობა 2010 წლის მუნდიალის მასპინძლის თავკაცობას ნიშნავს.

ხელშეკრულება პარეირასა და სამხრეთ აფრიკელებს შორის რიო დე ჟანეიროში გაფორმდა, რის შემდეგაც აფრიკელთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მოლეფი ოლეფანტმა სააგენტო „როიტერს“ განუცხადა:

„ჩვენს ფეხბურთს დიდებული დრო დაუდგა. ნაკრების თავკაცად მსოფლიო მასშტაბის მწვრთნელი დავნიშნეთ. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მან უნდა შემოიკრიბოს ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები და შეკრულ გუნდად გააერთიანოს“.

ოლეფანტმა ზუსტად ვერ დაასახელა, როდის უნდა დაიწყოს ბრაზილიელმა სპეციალისტმა მუშაობა, მაგრამ თავად პარეირამ მიანიშნა, რომ ამას 2007 წლიდან აპირებს.

არადა, სამხრეთ აფრიკის ნაკრები აფრიკის თასის 2008 წლის შესარჩევ შეჯიბრებაში 2 სექტემბრიდან ჩაებმება — იოჰანესბურგში კონგოს ნაკრებს მასპინძლობს. ოქტომბერში აფრიკელები ჯგუფის მთავარ მეტოქეს, ზამბიასაც შეხვდებიან და ერთსაც ნამიბიასთან ითამაშებენ ამხანაგურად.

სტატისტიკა ასეთია: სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა თავისი ისტორია ქვეყანაში აპარტეიდის დამარცხების შემდეგ, 14 წლის წინ დაიწყო და კარლოს ალბერტო პარეირა ამ 14 წლის მანძილზე ნაკრების სათავეში დანიშნული მე-14 მწვრთნელი აღმოჩნდა. ამ ხნის მანძილზე აფრიკელებმა ორჯერ გააღწიეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და 1996 წელს მოიგეს აფრიკის თასი, თუმცა ბოლო 12 თვის მანძილზე გამართული 18 თამაშიდან მხოლოდ სამში გაიმარჯვეს და ფიფას რეიტინგში გვარიანად დაბლა დაიწიეს.

ხოლო 63 წლის პარეირასთვის 2010 წლის მუნდიალი სამწვრთნელო კარიერაში მეექვსე იქნება. 1982 წელს იგი ქუვეითს ედგა სათავეში, 1990 წელს არაბთა გაერთიანებულ საემიროებს, 1998-ში საუდის არაბეთს, ხოლო 1994 და 2002 წლებში ბრაზილიას. შეხსენება არ სჭირდება, რომ 1994-ში კარლოს ალბერტო პარეირას ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

რაც შეეხება აფრიკულ გამოცდილებას, მოგზაურ პარეირას არც ასეთი აკლია — ნუ გაგიკვირდებათ და 1968 წელს, როდესაც სეუ ალბერტო 25 წლისა გახლდათ, ის მუშაობდა განის ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში და გუნდი აფრიკის თასის ფინალში გავიდა.

პაპუნა კედია

ბენიტესი ჰესგოლას წინააღმდეგ

„ლივერპული“ ჰაიფას „მაკაბის“ დაეჯახა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში.

ჰაიფაში ჰესბოლას რაკეტები სკდება.

რაფა ბენიტესი ამბობს, რომ გუნდის ისრაელში წაყვანას არ აპირებს: „ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. გამორიცხულია.“

რაფა თვლის, რომ უეფა ვერ მოსთხოვს „ლივერპულს“ ჰაიფაში ჩასვლას: „იქ ახლა ფეხბურთის დრო არ არის.“

„მაკაბის“ პრეზიდენტი იაკობ შახოვი თვლის, რომ თამაში თელავივში შეიძლება, თუმცა „ლივერპული“ ამაზეც უარს ამბობს და უეფაში საპროტესტო წერილიც აფრინა.

ადრე, ბენიტესი „ვალენსიას“ წვრთნიდა და მაშინაც ჰაიფელებს დაეჯახა. ის შესარჩევი კვიპროსზე გაიმართა და რაფას ახლაც ასე უნდა.

„ვარჯიშზე ვიფიქროთ, თუ ბომბებზე — კითხულობს მენეჯერი — ვითარება იმდენად ცხადია, რომ სადავო არაფერია.“

ირაკლი გამყრელიძე


რეიესი

ფაბრეგასი

კაკა

გაუმაძღარი რეალი

რობერტო კარლოსი სტამბოლისკენ

მადრიდის „რეალი“ ახლა ხოსე ანტონიო რეიესისა და სესკ ფაბრეგასის ყიდვას აპირებს.

პარასკევს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროის წარდგენის შემდეგ, პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა — ტრანსფერებს კიდევ განვახორციელებთ და ამ ზაფხულს „ბერნაბეუზე“ სხვა ფეხბურელების პრეზენტაციასაც იხილავთო. სამეფო თეთრების თავკაცმა ასევე თქვა, რომ ახალ მოთამაშეებს უახლოეს ხანში იყიდიან. მადრიდული „ასის“ ცნობით, პრეზიდენტი კალდერონი და სპორტული დირექტორი მიატოვიჩი „რეალის“ გულშემატკივრებს საჭირო ახალწვეულებით, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გაახარებენ. ბრაზილიელი კაკას „ბერნაბეუზე“ ჩამოსვლა, ალბათ, გადანახული სატრანსფერო ბომბი იქნება, სადღეისოდ კი „რეალი“ უფრო რეიესისა და სესკის გადაბირებას ცდილობს. ორივე არსენალელია და კაპელოს სამომავლო პროექტში შედის.

იტალიელ მწვრთნელს რეიესი მარცხნა ფლანგის გასაძლიერებლად სჭირდება. ავსტრიაში კაპელომ ამ პოზიციაზე კასანო ათამაშა, მაგრამ რომაელმა მოულოდნელად ტრავმა მიიღო და... რაკი არიენ რობენის ყიდვა ვერ ხერხდება, კაპელომ პრედრაგ მიატოვიჩს ხოსე ანტონიო რეიესის შეძენა სთხოვა. სევილიელ ფეხბურთელს მადრიდის „რეალში“ თამაში სურს, თან ადგილის შეცვლა და ლონდონის დავიწყება უნდა, ქალაქისა, სადაც რიგი მიზეზების გამო არასდროს ყოფილა ბედნიერი. „არსენალმა“ თავის დროზე „სევილიას რეიესის სანაცვლოდ 29 მილიონი ევრო მისცა და, ცხადია, „რეალსაც“ ამდენსავე მოსთხოვენ, „მეთოფეები“ ფულს ხომ არ დაკარგავენ. სევილიელი ლონდონური კლუბისთვის სასიცოცხლო მნიშვნელოვანი მოთამაშე არ გახლავთ და ესპანელთა სპორტულმა დირექტორმა მიატოვიჩმა უკვე დაიწყო დევიდ დინთან რეიესის შესახებ მოლაპარაკება. „რეალისთვის“ იდეალური ვარიანტი იქნება, ხოსემ სამეფო თეთრი მაისურა ამერიკული ტურნეს დაწყებამდე მოირგოს.

პრედრაგ მიატოვიჩი „არსენალის“ პრეზიდენტ დინს სესკ ფაბრეგასაც სთხოვს. სესკი იმ ტიპის მოიერიშე ნახევარმცველია, კაპელოს რომ სჭირდება. იტალიელმა, ლონდონს გადაბარგებული ბარსელონელი ბიჭის „რეალში“ ჩაყვანა თავის პრეზიდენტს ადრეც სთხოვა და დაუღლელმა მიატოვიჩმაც უკვე მაშინ გააფორმა სესკის აგენტ ხოსება დიასთან წინასწარი ხელშეკრულება. ანუ ფეხბურთელთან და მის წარმომადგენელთან ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ თავად „არსენალთან“ სხვანაირადაა საქმე. ფაბრეგასს (ესპანურ გაზეთებს თუ ვენდობით) გულით უნდა პრემიერადივიზიონში დაბრუნება, თუმცა „მეთოფეთა“ მწვრთნელი ვენგერი მის ადვილად გაშვებას არ აპირებს. ალბათ, „რეალს“ კატალონიელის ყიდვა 30 მილიონი ევრო დაუჯდება, თანაც ეგებ სატრანსფერო ოპერაციაში „ბერნაბეუს“ ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტაც ჩართონ. თუმც ბრაზილიელთან დაკავშირებით ერთი დიდი პრობლემა არსებობს. რადგან ჟულიო არაევროკავშირელია, ალბიონური კანონებით, სამი პირობა უნდა დაკმაყოფილოს, პრემიერლიგაში რომ ათამაშონ: 1. მუშაობის უფლება უნდა მიიღოს; 2. ბოლო სამი წლის განმავლობაში თავისი ქვეყნის ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი უნდა ჰქონდეს ნათამაშები; 3. მისი ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში 75-ე ადგილს ქვევით არ უნდა იმყოფებოდეს. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ბაპტისტა მეორე პირობას ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც მისთვის პრემიერლიგის კარი დახურულია. „რეალმა“ კი სატრანსფერო ოპერაცია უნდა დააჩქაროს — „არსენალი“ აგვისტოში ლიგის საკვალიფიკაციო თამაშს გამართავს და თუ სესკმა და რეიესმა ამ მატჩში მონაწილეობა მიიღეს, მადრიდში გადასვლის შემთხვევაში, ევროტურნირზე ბურთაობა აეკრძალებათ.

რობერტო კარლოსი

ხოსე ანტონიო რეიესი და სესკ ფაბრეგასი, „არსენალთან“ ერთად, საზონათაშორისო მზადებას ავსტრიაში გადიან. „რეალიც ახლა ამ ქვეყანაში ვარჯიშობს, ოღონდ სხვა ქალაქში. „არსენალი“ შვადორფშია, კასტილიური გრანდი კი — ირდნინგში დაბანაკდა. „მეთოფეები“ შვადორფში თავიანთ ბოლო ავსტრიულ ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავენ. მეტოქედ იქაური „ასკ შვადორფი“ ეყოლებათ. შემდეგ „არსენალი“ ჰოლანდიაში გაემგზავრება საწვრთნელად და ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად. როგორც აღვნიშნეთ, ვენგერის კლუბი 8 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში, ზაგრების „დინამოს“ და „ეკრანასის“ შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს.

ამასობაში მადრიდს არც კაკა ავიწყდება. გუშინ „ტელემადრიდმა“ გამოაცხადა, რომ „რეალმა“ ბრაზილიელი თითქმის უკვე შეიძინა — ტრანსფერის 75 პროცენტი უკვე განხორციელებულიაო. კიდევ ისიც თქვა, რომ კაკას რამდენიმე დღეში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ოფიციალურად წარადგენენ და ეს მაშინ, როცა „მილანის“ მხარე ოკეანისგაღმელი ვარსკვლავის „სან სიროდან“ წასვლას გააფთრებით უარყოფს... კაკა მილანში ბრაზილიიდან შაბათს დაბრუნდა. ფეხბურთელს 1 აგვისტომდე სურდა არდადეგების გაგრძელება, თუმცა „როსონერი“ ლიგის საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს და ბრაზილიელსაც სასწრაფოდ უხმო.

რობერტო კარლოსმა კი საბოლოოდ დატოვა „სანტიაგო ბერნაბეუ.“ თურქული გაზეთები გუშინ იუწყებოდნენ, რომ ვეტერანი „ბრაზილენიო“ ამიერიდან „ფენერბაჰჩეში“ ითამაშებს. სატრანსფერო შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებს გასულ ხუთშაბათს გაუფორმებიათ, კარლოსი კი ხვალ წარსდგება ოფიციალურად „ფენერის“ მოთამაშედ.

ბრაზილიელი მცველის „რეალიდან“ წასვლა, „ჩელსისთან“ ბოლოჟამინდელმა სატრანსფერო კეკლუცობამ და სამეფო გუნდის ინჩადასთან გართულებულმა ურთიერთობამ დააჩქარა. რობერტო კარლოსი კარიერის ბოლო წლებს, ალბათ, ზიკოს „ფენერბაჰჩეში“ გაატარებს.

ლადო ხომერიკი

გაცილება ცრემლით

პაბლო აიმარი

პაბლო აიმარი „სარაგოსაში“ ითამაშებს. ხანგრძლივი სატრანსფერო მოლაპარაკების შემდეგ „ვალენსია“ არგენტინელის გაშვებაზე დათანხმდა და 26 წლის ფეხბურთელიც მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში არაგონულ „ლა რომარედაზე“ დარჩება.

ძალიან ემოციური გახლდათ პაბლიტოს დამშვიდობება „ვალენსიასთან“. „ღამურათა“ იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც გუნდთან ერთად ჰოლანდიაში სეზონთაშორისის ტურნეზე არ არიან, შაბათს, დილის ვარჯიშის შემდეგ, აიმარს გამოსათხოვარი ფიესტა მოუწყეს... იქვე იყვნენ „ვალენსიას“ გულშემატკივრებიც, რომელთაგან ერთ-ერთმა ცრემლი ვერ შეიმაგრა და თავად აიმარს მოუხდა მისი დამშვიდება...

პაბლო სეზარ აიმარი „მესტალიას“ ჭეშმარიტი ვარსკვლავი იყო — „ვალენსიაში“ თითქმის 200 მატჩი ჩაატარა და ორჯერ პრიმერას ჩემპიონობასთან, უეფას თასთან და ევროპის სუპერთასთან ერთად „ღამურათა“ ინჩადის გულიც სამუდამოდ მოიგო.

ლადო ხომერიკი

ჩემპიონური შესავალი

შოტლანდია

პრემიერლიგა. I ტური

სელტიკი 4:1 კილმარნოკი
1:0 ფურავსკი (25), 2:0 იაროშიკი (38), 3:0 ნაკამურა (75), 3:1 ნაისმიტი (87), 4:1 ფურავსკი (90)

დანდი იუნ. 1:2 ფოლკირკი
1:0 რობსონი (17), 1:1 ლატაპი (23), 1:2 კრეიგი (59)

დანფერმლაინი 1:2 ჰართსი
0:1 ბედნარი (15), 1:1 სიმონსი (62), 1:2 პოშპისილი (78)

ჰიბერნიანი 1:1 აბერდინი
0:1 კროუფორდი (19), 1:1 შილდსი (31)

ინვერნესი 1:2 სენტ მირენი
1:0 დარგო (48), 1:1, 1:2 ჯ. სატონი (55, 75)

მოზერუელი 1:2 რეინჯერსი
0:1 სიონკო (8), 1:1 ოდონელი (52), 1:2 პრსო (65)

ჩემპიონმა ჩემპიონურად დაიწყო: „სელტიკმა“ „კილმარნოკს“ იოლად მოუგო და მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი გაახარა. ორჯერ მაკეი ფურავსკიმ შეაგდო, ხოლო სადებიუტო მატჩში პირველი გოლი ირჟი იაროშიკმა მიითვალა, რომელიც „სელტიკში“ „ბირმინგემიდან“ გადავიდა. მეოთხე გოლი შუნსუკე ნაკამურას ანგარიშზეა — იაპონელმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. საუცხოოდ ითამაშა კენი მილერმა, მან ორი საგოლე პასი გააკეთა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „სელტიკმა“ ამხანაგური მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:3 წააგო, რის გამოც სტრაჩანს ფანების რისხვა დაატყდა თავს.

„საკვირველია — თქვა „კილმარნოკთან“ მატჩის შემეგ სტრაჩანმა — ჩემპიონატი 17 ქულის სხვაობით მოვიგეთ და მაინც ზეწოლის ქვეშ ვიყავით. კმაყოფილი ვარ თამაშითაც და შედეგითაც. ქომაგები ისევ მობრუნდნენ ჩვენსკენ. მართალია, ბევრი საგოლე შანსიდან მხოლოდ ოთხი გამოვიყენეთ, მაგრამ არა უშავს.“

ედინბურგის „ჰართსმა“ სტუმრად სძლია „დანფერმლაინს“, რომელსაც მე-80 წუთზე ენდი ტოდი გაუძღვეს, თამაშის მიწურულს კი მსაჯმა მასპინძელთა მწვრთნელი კრეიგ რობერტსიც მიაბრძანა მოედნიდან, რადგან მეოთხე არბიტს ეჩხუბა. ჰართსელმა რომან ბედნარმა მეთხუტმეტე წუთზე ახლოდან დარტყმით დააწინაურა სტუმრები, მაგრამ სიმონსმა მეორე ტაიმში თავურით გაათანაბრა. ედინბურგელთა გამარჯვებისა კი პოშპისილმა შეაგდო — ხარიხიდან გადმოვარდნილ ბურთს საგოლედ დაამატა.

ირაკლი ნინიძე

გორდონ სტრაჩანი

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

ფინალი

შოტლანდია 1:2 ესპანეთი

0:1, 0:2 ბუენო (51, 71), 1:2 დორანსი (87)

შოტლანდია: მაკნილი, კეივ-ბრაუნი, ლ. უოლესი, გრანტი, კუტბერტი, ფერი, ჯ. ელიოტი, მაკგლინჩი, კორნოი (გილმური 78), გ. კამერონი (დორანსი 74), ჯ. ადამსი

მწვრთნელი: თომას უილსონი

ესპანეთი: ადანი, ბარაგანი, ვალიენტე, პიკე, მ. სუარესი, ა. კალვო (ხ. სუარესი 72), ხავი გარსია, კაპელი (გრანერო 86), კანელა, მატა, ა. ბუენო

მწვრთნელი: ხინეს მელენდესი

მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)

10 000 მაყურებელი

შოტლანდია ესპანეთისთვის ლანდია

პოლონეთში გამართული ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატი ფავორიტი ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. შეიძლება ითქვას, ესპანელები დანარჩენ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ და საბოლოოდ დამსახურებულადაც იმარჯვეს. ბოლო ხუთ წელიწადში პირინეელებმა ეს ტურნირი მესამედ მოიგეს.

შოტლანდიელთა ფინალში გასვლა კი ცოტა მოულოდნელი გახლდათ. ეს გუნდები ერთ ჯგუფში იყვნენ და ესპანეთმა იქ 4:0 მოიგო, თუმცა ფინალში იმავეს ცოტა თუ ელოდა და ასეც მოხდა. „სქოთებმა" მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ...

პირველმა ტაიმმა უგოლოდ ჩაიარა. ორივე ნაკრები ფრთხილობდა და სახიფათო მომენტებიც მრავლად არ იყო. პირველი მწვავე იერიში შოტლანდიელებმა განახორციელეს, მაგრამ კალუმ ელიოტის დარტყმულმა მიზანს არ უწია. შემდეგ უპირატესობას პირინეელები დაეუფლნენ, თუმც „სქოთების" მეკარე ენდრიუ მაკნილი მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ.

შესვენების მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კლასში სხვაობამ თავისი გაიტანა და ესპანელებს მოგება აღარ გასჭირვებიათ. მადრიდის „რეალის" ახალგაზრდული გუნდის ფორვარდმა, ალბერტო ბუენომ, ორი კოხტა გოლი გამოაცხო. მან ჯერ მარიო სუარესთან გაითამაშა კედელი და ისე შეაგდო, შემდეგ კი ხუან მატას ჩაწოდებული ჯარიმა გამოიყენა მშვენივრად. შოტლანდიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყურები არ ჩამოუყრიათ, ბრძოლას აგრძელებდნენ და მატჩის მიწურულს გოლით დაჯილდოვდნენ — შეცვლაზე შესულმა დორანსმა თავით გაიტანა. მეტზე „სქოთებს" არც დრო ეყოთ და აღარც ძალა.

ბუენო კი 5 გოლით, თურქ ფორვარდ ილჰან პარლაკთან ერთად, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

გიორგი კაკაბაძე

ბელგია

იუპილერლიგა. I ტური

ბრიუგე 5:0 გენტი

1:0 დაერდენი (24), 2:0 ბალაბანი (34), 3:0 იშიაკუ (75), 4:0 როელანდტსი (84), 5:0 ჩავესი (90)

შარლერუა 0:0 ლიერსი

ბრიუსელი 1:0 მონსი

1:0 კალიკულა (60)

ბეერსხოტი 1:0 ბევერენი

1:0 სტერჩელე (26)

მუსკრონი 2:1 სერკლი

1:0 დუგარდინი (12), 2:0 კუსტოვიჩი (28პ), 2:1 დ. სუტერუ (56)

გენკი 3:1 ვარეგემი

1:0 სოტერსი (10), 2:0 ბოშნიაკი (15), 2:1 რუსელი (56), 3:1 კორნელისი (66)

ლოკერენი 2:1 სტანდარდი

1:0 კოვალენკო (14ს.კ), 1:1 ფერარტსი (27), 2:1 ოვერმარი (43)

სენტ ტრუიდენი 2:4 ანდერლეხტი

0:1 გოორი (51), 1:1 მუნიანეზა (59), 2:1 სიშუბა (69), 2:2 ჰეინი (77ს.კ), 2:3, 2:4 ტშიტე (88, 89)

ვესტერლო 2:1 რუზელარე

1:0 ვან დერ ეედე (65), 2:0 ოგუნსოტო (67), 2:1 რეიმაკერსი (85)

ბრიუგე	1	1	0	0	5:0	3
ანდერლეხტი	1	1	0	0	4:2	3
გენკი	1	1	0	0	3:1	3
ლოკერენი	1	1	0	0	2:1	3
მუსკრონი	1	1	0	0	2:1	3
ვესტერლო	1	1	0	0	2:1	3
ბრიუსელი	1	1	0	0	1:0	3
ბეერსხოტი	1	1	0	0	1:0	3
შარლერუა	1	0	1	0	0:0	1
ლიერსი	1	0	1	0	0:0	1
რუზელარე	1	0	0	1	1:2	0
სერკლი	1	0	0	1	1:2	0
სტანდარდი	1	0	0	1	1:2	0
მონსი	1	0	0	1	0:1	0
ბევერენი	1	0	0	1	0:1	0
სენტ ტრუიდენი	1	0	0	1	2:4	0
ვარეგემი	1	0	0	1	1:3	0
გენტი	1	0	0	1	0:5	0

ბულგარეთი

სუპერთასი

ლევსკი 0:0(პენ.0:3) ცსკა

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. I ტური

სპარტა — კლადნო 0:0; ბოლესლავი — სიგმა 2:1; ზლინი — სლოვაცკო 1:2; იაბლონეცი — მოსტი 2:2; პრუიბრამი — პლზენი 1:1; ტეპლიცე — ბრნო 0:0; ბუდეიოვიცე — ლიბერეცი 0:2. *ბარეკი — სლავია დღეს გაიმართება*

პოლონეთი

I ლიგა. I ტური

ვიძევი — გროცლინი 2:1; არკა — კორონა 0:3; ლეჩნა — ბელსატოვი 1:3; ლოძი — პოგონი 4:0; ვისლა — გურნიკი 1:0; ლეგია — კრაკოვია 3:1; ოდრა — ზაგლებე 1:0; ლეხი — პლოცკი 3:2

ისლანდია

პრემიერლიგა. XI ტური

დრეიდაბლიკი — ვიკინგური 1:0; აკრანესი — ჰაფნარფიორდური 0:1. *ფილკირი — რეიკიავიკი, ვალიური — ფუსტმანაეიარი და კეფლავიკი — გრინდავიკი დღეს გაიმართება*

ირლანდია

პრემიერლიგა. XVIII ტური

შელბურნი — სლიგო 3:0; დუბლინი — ბოჰემიანსი 0:1; ლონგფორდი — დროჰედა 0:0; დერი — უოტერფორდი 4:0. *კორკი — სენტ პატრიკსი გადაიდო*

სლოვენია

პირველი ლიგა. I ტური

მარიბორი — პტუი 1:0; პუბლიკუმი — ნოვა გორიცა 0:0; პრიმორიე — ნაფტა 1:0; დომჟალე — ბელა კრაინა 1:0. *კოპერი — ფაქტორი დღეს გაიმართება*

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. II ტური

მეტალისტი — ხარკოვი 2:0; არსენალი — ჩერნომორეცი 1:1; მეტალურგი (ზ) — დინამო 0:5; მეტალურგი (დ) — სტალი 2:1; კრივბასი — კარპატი 3:0; ვორსკლა — ტავრია 0:0; ილიჩევეცი — დნიპრო 1:1; ზარია — შახტარი 0:2

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. III ტური

ავსტრია — ზალცბურგი 1:1; გრაცერი — პაშინგი 2:1; მატერსბურგი — შტურმი 1:4; რიდი — რაპიდი 1:0; ალტახი — ტიროლი 0:1

ტიროლი	3	3	0	0	5:2	9
ზალცბურგი	3	2	1	0	6:1	7
პაშინგი	3	2	0	1	6:4	6
მატერსბურგი	3	2	0	1	4:4	6
გრაცერი	3	1	1	1	2:3	4
რაპიდი	3	1	0	2	4:3	3
შტურმი	3	1	0	2	7:8	3
რიდი	3	1	0	2	1:4	3
ავსტრია	3	0	2	1	1:3	2
ალტახი	3	0	0	3	2:6	0

დანია

სუპერლიგა. III ტური

ოდენსე — ესბიერგი 0:2; ოლბორგი — ვაილე 4:0; ჰორსენსი — ვიბორგი 2:2; ნორდსიელანდი — სილკებორგი 1:0; მიდტიულანდი — ბრონდბიუ 1:1. *კოპენჰაგენი — რანდერსი გადაიდო*

ოლბორგი	3	3	0	0	9:2	9
ბრონდბიუ	3	2	1	0	5:3	7
ნორდსიელანდი	3	2	0	1	7:2	6
კოპენჰაგენი	2	2	0	0	5:1	6
ესბიერგი	3	2	0	1	5:3	6
მიდტიულანდი	3	1	2	0	3:2	5
რანდერსი	2	1	0	1	1:5	3
ჰორსენსი	3	0	1	2	2:4	1
ოდენსე	2	0	1	1	1:3	1
ვიბორგი	3	0	1	2	3:6	1
სილკებორგი	3	0	0	3	2:7	0
ვაილე	2	0	0	2	1:6	0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIV ტური

კუოპიო — მიუპა 1:0; ჰაკა — იარო 3:1; ინტერი — ლაჰტი 0:1; ვაასა — ჰონკა 1:2; მარიეჰამნი — ტამპერე 1:0. *ჰიკ — კტპ დღეს გაიმართება*

ჰონკა	14	9	2	3	33:18	29
ტამპერე	13	9	1	3	20:11	28
ჰაკა	13	7	3	3	16:9	24
მარიეჰამნი	14	6	4	4	19:14	22
ჰიკ	13	6	3	4	16:11	21
ტურკუ	13	6	2	5	24:19	20
მიუპა	12	4	3	5	11:11	15
ლაჰტი	14	4	3	7	10:19	15
კტპ	12	4	2	6	12:22	14
იარო	13	3	4	6	15:17	13
ვაასა	13	3	4	6	14:17	13
ინტერი	11	3	2	6	9:17	11
კუოპიო	13	2	3	8	9:23	9

შვედეთი

ალსვენსკა XII ტური

იურგორდენი — ეიფორიტე 2:1; გაის — ელფსბორგი 0:3; ჰაბარი — ჰელკენი 3:0. *ჰალმსტადი — გეფლე, ჰელსინგბორგი — კალმარი, მალმიო — იოსტერსი და გიოტებორგი — აიკ დღეს გაიმართება*

ჰამარბი	12	8	2	2	22:13	26
ელფსბორგი	12	6	5	1	20:10	23
აიკ	11	6	3	2	21:12	21
იურგორდენი	12	5	5	2	15:10	20
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
მალმიო	11	5	3	3	17:13	18
კალმარი	10	5	2	3	15:9	17
გეფლე	11	4	3	4	12:15	15
გაის	12	3	4	5	11:17	13
ჰელსინგბორგი	11	2	5	4	14:16	11
ჰეკენი	12	2	4	6	12:18	10
ჰალმსტადი	11	1	5	5	4:12	8
იოსტერსი	11	1	3	7	6:21	6
იორგრიტე	12	0	5	7	10:20	5

ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

ოდ გრენლანდი — ვოლერენგა 3:2; ბრანი — ფრედრიკსტადი 3:1; სანდეფიორდი — სტაბეკი 3:1; ტრომსიო — მიოლდე 2:0; ვიკინგი — ჰამ კამი 2:1; როსენბორგი — ლილესტრიომი 3:1. *ლინი — სტარტი დღეს გაიმართება*

ბრანი	14	9	4	1	24:12	31
როსენბორგი	15	6	6	3	22:16	24
სტაბეკი	15	5	7	3	23:17	22
ლილესტრიომი	13	6	4	3	22:17	22
ოდ გრენლანდი	15	5	7	3	21:17	22
სანდეფიორდი	15	6	3	6	21:24	21
ვოლერენგა	15	5	4	6	19:18	19
ჰამ კამი	15	5	3	7	22:20	18
ლინი	13	5	3	5	13:15	18
ვიკინგი	15	4	5	6	13:17	17
მიოლდე	15	5	2	8	17:24	17
ფრედრიკსტადი	15	4	4	7	19:27	16
სტარტი	14	3	6	5	12:17	15
ტრომსიო	15	3	4	8	14:21	13

ხორვატია

I დივიზიონი. I ტური

მედიმურიე — ჰაიდუკი 0:2; შიბენიკი — ოსიეკი 1:2; კამენი — ზაგრები 1:3; დინამო — სლავენი 1:0; ციბალია — რიეკა 3:4; პულა — ვარტექსი 1:1

აშშ

MLS. XXI ტური

დალასი — კოლორადო 4:1; ჩიკაგო — კოლუმბუსი 0:0; ჰიუსტონი — ნიუ იორკი 1:1; კანზასი — ნიუ ინგლენდი 1:1; სოლტ ლეიკი — ვაშინგტონი 2:1

ამხანაგური მატჩები

29 ივლისი

სამპდორია (იტალია) 3:0 პარმა (იტალია)
ფიორენტინა (იტალია) 2:0 არისი (საბერძნეთი)
რეჯინა (იტალია) 1:1 პრო ვერჩელი (იტალია)
დორტმუნდი (გერმანია) 2:1 აიაქსი (ჰოლანდია)
საუთჰემპტონი (ინგლისი) 1:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
შეფილდ უენსდი (ინგლისი) 1:2 მიდლსბრო (ინგლისი)
პრესტონი (ინგლისი) 2:1 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
დერბი ძაუნთი (ინგლისი) 2:0 ბოლტონი (ინგლისი)
ნოტინგემი (ინგლისი) 2:3 ლიდსი (ინგლისი)
ბორნმუთი (ინგლისი) 0:4 პორტსმუთი (ინგლისი)
ვულვერჰემპტონი (ინგლისი) 0:3 ასტონ ვილა (ინგლისი)
სუინდონი (ინგლისი) 1:1 რედინგი (ინგლისი)
ბრედფორდი (ინგლისი) 0:1 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ჯილინგემი(ინგლისი) 1:2 ვესტ ჰემი (ინგლისი)
ნიუკასლი (ინგლისი) 2:3 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 3:2 ლივერპული (ინგლისი)
ბრედა (ჰოლანდია) 1:1 როდა (ჰოლანდია)
ფულემი (ინგლისი) 0:0 რეალი (ესპანეთი)
ტრუა (საფრანგეთი) 2:0 პაოკ (საბერძნეთი)
მიუნხენ 1860 (გერმანია) 2:1 მალიორკა (ესპანეთი)
ლე მანი (საფრანგეთი) 1:0 ნანტი (საფრანგეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) 0:0 ბოხუმი (გერმანია)
მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ტულუზი (საფრანგეთი)
ტილბურგი (ჰოლანდია) 0:0 ირაკლისი (საბერძნეთი)
ძოვენთრი (ინგლისი) 1:2 ბოავიშტა (პორტუგალია)
დეპორტივო (ესპანეთი) 0:1 სპორტინგი (პორტუგალია)
ვალენსია (ესპანეთი) 3:1 ჩარლტონი (ინგლისი)

30 ივლისი

ტოტენჰემი (ინგლისი) 2:1 ინტერი (იტალია)
ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი) 0:0 სოსიედადი (ესპანეთი)
ფრაიბურგი (გერმანია) 0:4 ჰოფენჰაიმი (გერმანია)
დუისბურგი (გერმანია) 1:0 აინტრახტი (გერმანია)
შტუტგარტი (გერმანია) 1:0 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
პალერმო (იტალია) 1:4 ჰანოვერი (გერმანია)
სოშო (საფრანგეთი) 1:1 პაოკ (საბერძნეთი)

საფრანგეთი

სუპერთასი

ლიონი 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) პსჟ

1:0 როტენი (61), 1:1 ბენზემა (70)

II დივიზიონი. I ტური

აიაჩო — ნიორი 1:1; კაენი — ლიბურნი 2:1; შატორუ — ტური 3:1; კრეტეი — გენგამი 0:0; გრენობლი — მონპელიე 3:2; ისტრი — ბასტია 2:2; ლე ავრი — ამიენი 1:3; რეიმსი — ბრესტი 2:0; სტრასბური — დიჟონი 0:0; გენიონი — მეცი 0:1

თურქეთი

სუპერთასი

გალათასარაი 0:1 ბეშიქთაში

0:1 ნობრე (60)

იაპონია

ჯეი ლიგა. XVI ტური

ომია — კიოტო 1:0; ტოკიო — ჰიროშიმა 0:2; კოფუ — ურავა 1:1; გამბა — ფუკუოკა 2:2; კაშიმა — სერეზო 2:0; ოიტა — კავაზაკი 1:1; შიმიცუ — ივატა 2:0; იჩიჰარა — ნაგოია 2:3; იოკოჰამა — ნიიგატა 2:0

შვეიცარია

სუპერლიგა. III ტური

აარაუ — სიონი 1:3; გრასჰოპერი — თუნი 4:1; შაფჰაუზენი — ციურიხი 0:2; სენტ გალენი — ბაზელი 3:2; იანგ ბოისი — ლუცერნი 3:2

ციურიხი	3	3	0	0	8:0	9
სიონი	3	2	1	0	6:3	7
გრასჰოპერი	3	1	2	0	4:1	5
იანგ ბოისი	3	1	2	0	4:3	5
სენტ გალენი	3	1	2	0	4:3	5
ბაზელი	3	1	1	1	6:4	4
თუნი	3	0	2	1	2:5	2
აარაუ	3	0	1	2	2:7	1
შაფჰაუზენი	3	0	1	2	1:6	1
ლუცერნი	3	0	0	3	4:9	0

სლოვაკეთი

პირველი ლიგა

III ტური

ბანსკა ბისტრიცა — ინტერი 0:0; კოშიცე — ნიტრა 0:1; რუჟომბეროკი — ტრენჩინი 0:1; სლოვანი — სენეცი 2:0; ჟილინა — ტრნავა 1:0. *დუბნიცა — არტმედია გადაიდო*

უხეირო ხელები

რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

ამკარი 1:3 სპარტაკი (მ)

0:1 ბისტროვი (24), 1:1 სავინი (29პ), 1:2 კალინიჩენკო (32), 1:3 კავენაგი (64)

ტორპედო 2:2 ცსკა

1:0 ბუდილინი (21), 1:1 კრასიჩი (29), 2:1 კანტონისტოვი (81), 2:2 რაჰიმიჩი (83)

სატურნი 1:1 ლოკომოტივი

1:0 ბარეირო (41), 1:1 იგონინი (90ს.კ.)

ტომი 4:0 რუბინი

1:0 კუკინი (47), 2:0, 3:0, 4:0 პოგრებნიაკი (55, 64, 90)

შინიკი 1:2 მოსკვა

0:1 ოკორონკოვ (32), 0:2 კირიჩენკო (52), 1:2 ომელიანჩუკი (59)

დინამო 2:2 ზენიტი

0:1 კერეკოვი (29), 1:1 დერლეი (52), 1:2 გორშკოვი (63), 2:2 სისერო (78)

კრილია 2:1 ლუჩ-ენერგია

0:1 ასტაფიევი (17), 1:1 ტოპიჩი (63), 2:1 გუსინი (67)

როსტოვი — სპარტაკი (ნ)

დღეს გაიმართება

ცსკა ზედიზედ მეოთხე ტურია, ვერ იგებს. ამჯერად, დედაქალაქურ დერბიში „ტორპედოსთან", ორჯერ აგებდა და ქულის გადარჩენა შეძლო. ვალერი გაზაევს ორივე გამთამაშებელი — კარვალიო და დუდუ — დისკვალიფიცირებული ჰყავდა, რამაც ნახევარდაცვაში პრობლემა შეუქმნა.

ანგარიში ტორპედოელმა ბუდილინმა შორიდან დარტყმით გახსნა — ცსკ-ს მეკარე აკინფეევი შეცდა, ხელები უხეიროდ გაშალა და ბურთი კარში აღმოჩნდა. სტუმრებმა მალე გაათანაბრეს, კრასიჩს კოხტა გოლი გამოუვიდა. დაახლოებით ოცი მეტრიდან ჩააბზრიალა ბოროდინისგან მარცხენა კუთხეში. არმიელთა ბრაზილიელმა ჟომ პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა.

შესვენების შემდეგ კანტონისტოვის გოლით ისევ „ტორპედო" დაწინაურდა, შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე კი რაჰიმიჩმა კრასიჩის პასით გაათანაბრა.

მიჯრით ორი ფრის შემდეგ მოიგო მოსკოვის „სპარტაკმა" — მოსკოველები ჰერმის „ამკარს" ესტუმრნენ და სამი გოლი გაუტანეს. ამათგანი პირველი ბისტროვმა შეაგდო, როცა მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი ფეხებში გაუძვრინა.

ჰერმელებმა საეჭვო პენალტით გაათანაბრეს. სპარტაკელმა იენჩიმ ოდნავ დაქაჩა მასპინძელ ლავრიკს და ისიც ლამაზად წაიქცა. პენალტი სავინმა შეასრულა. აქედან ორ წუთში კალინიჩენკომ „ამკარის" დაცვი არეულობით ისარგებლა და „სპარტაკი" დაწინაურა, ხოლო მეორე ტაიმში ფერნანდო კავენაგმ ქუსლით გაუტანა პერმელ სტეპანოვს.

ირაკლი ნინიძე

ირაკლი ნინიძე						
სპარტაკი ნ.	13	8	3	2	22:13	27
სპარტაკი მ.	14	6	7	1	28:17	25
ცსკა	14	7	4	3	21:11	25
ლოკომოტივი	14	6	5	3	26:18	23
კრილია	14	6	5	3	22:15	23
რუბინი	14	6	5	3	18:16	23
ტომი	14	6	4	4	17:13	22
მოსკვა	14	5	5	4	16:17	20
ზენიტი	14	4	7	3	18:18	19
ლუჩ-ენერგია	14	5	3	6	19:18	18
სატურნი	14	2	9	3	11:12	15
როსტოვი	13	3	4	6	16:20	13
ამკარი	14	2	5	7	9:23	11
დინამო	14	1	7	6	11:17	10
ტორპედო	14	1	7	6	11:20	10
შინიკი	14	1	4	9	7:24	7

ვალერი გაზაევს მოგება ენატრება



ნაწყენი ვარ და არ დავუსტვენ

ცნობილი გერმანელი არბიტრი მარკუს მერკი ბუნდესლიგის სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან განაწყენებულია — უნდოდა მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფის ეტაპზეც ემსაჯა, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე მიღებული რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილების გამო ფიფამ ასეთი პატივი არ არგუნა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელი ფოლკერ როთი: „მერვედფინალიდან რომ აღარ უხმეს, ამან მერკზე ძალიან იმოქმედა, მას სურდა მუნდიალი ბოლომდე გაევლო. ახლა ის ისვენებს, რათა მსოფლიოს ჩემპიონატი საერთოდ დაივიწყოს. მერკი კიდევ ოთხი კვირის განმავლობაში იქნება შვებულებაში, მე მისი სრულებით მესმის".

ბუნდესლიგის სეზონი 12 აგვისტოს იწყება. რაც შეეხება მარკუს მერკს, მოგეხსენებათ, ის გერმანიის საუკეთესო მსაჯად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მუნდიალზე ორჯერ მაყურებლის სტვენის თანხლებით დატოვა მოედანი. კერძოდ, განისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთა შეხვედრაში მან განელთა სასარგებლოდ დანიშნა პენალტი, რომელიც არ უნდა დანიშნულიყო და რომელმაც თამაშის შედეგზე იმოქმედა. შემდეგ, იმავე შეხვედრაში მან ყვითელი ბარათით დასაჯა განელი მიკაელ ესიენი, რის გამოც ესიენმა მერვედფინალში ბრაზილიის წინააღმდეგ ვეღარ ითამაშა.

ამ თამაშამდე ხუთი დღით ადრე მერკმა ბრაზილიისა და ავსტრალიის შეხვედრაში ჯარიმები ასე დაანაწილა: 25-ჯერ დააჯარიმა ავსტრალიელები და მხოლოდ ცხრაჯერ ბრაზილიელები.

და ბოლოს, ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი სად იყო, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „ბარსელონას" და „მილანის" შეხვედრაში მერკმა ბარსელონელთა კარში ანდრეი შევჩენკოს წესების სრული დაცვით გატანილი გოლი რომ არ ჩათვალა და ამით შეხვედრის შედეგზე იმოქმედა.

კაკუნა კვიდა

სარგებელი კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		31 ივლისი						
19:00	146	როსტოვი-ნალჩიკი	2.40	2.80	2.70	1.29	1.27	1.37
		ჩეხეთი						
		31 ივლისი						
19:15	297	ბანიკი-სლავია	2.50	2.80	2.55	1.32	1.26	1.33
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		31 ივლისი						
21:00	298	ლინი-სტარტი	1.95	3.20	3.25	1.21	1.21	1.61
		შვედეთი. ალსვენსკა						
		31 ივლისი						
21:00	214	ჰალმსტადი-გეფლე	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
21:00	215	ჰელსინგბორგი-კალმარი	2.10	3.15	3.10	1.25	1.25	1.56
21:00	216	მალმიო-იოსტერსი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:00	217	გიოტებორგი-აიკ	1.90	3.25	3.60	1.19	1.24	1.70
		შვედეთი. სუპერეტა						
		31 ივლისი						
21:00	225	ატვიდაბერგი-სუნდსვალი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
21:00	226	ფალკენბერგი-უმეა	1.55	3.70	4.50	1.09	1.15	2.03
21:00	228	ნორჩიოპინგი-ასირისკა	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
21:00	229	ქვიდინგი-ტრელებორგი	4.20	3.60	1.60	1.93	1.15	1.10
21:00	230	ვესბი-დეგერფორსი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
		ფინეთი						
		31 ივლისი						
19:30	299	ჰიკი-კტპ	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ყველაფერი თავიდან

რევაზ მინდორაშვილი ძველ ნაცნობებთან შესახვედრად ემზადება

საჭიდაო სეზონის უმთავრეს ტურნირამდე, მსოფლიოს ჩემპიონატამდე, ორი თვეც აღარ რჩება. საქართველოს ნაკრებებმა უკვე მოსამზადებელი ციკლი დაიწყეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები აგვისტო-სექტემბერს მთლიანად შეკრებებს დაუთმობენ. ახლახან ჩატარებული თბილისის საერთაშორისო ტურნირი მათთვის ბოლო წინასაჩემპიონატო რეპეტიცია იყო. ხალიჩაზე ნაკრების ყველა წევრი გავიდა ტრავმირებული რევაზ მინდორაშვილის გარდა. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს გუშინ ტრავმაზე სასაუბროდ შევეხმიანეთ, თუმცა, რაღა დროს ტრავმაა, „მინდორა“ ნაკრებთან ერთად ბაკურიანულ შეკრებაზეა და სრული დატვირთვებით ვარჯიშობს

— ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ჭიდაობაში ხელი ბაქოში მიღებულმა ტრავმამ შემიშალა. თავი გავიტეხე და ოთხი ნაკერი დამჭირდა. მერე ამას პირადი პრობლემებიც დაერთო და ვარჯიშის განახლება ცოტა დამიგვიანდა. თბილისურ ტურნირს ტრიბუნიდან ვუყურებდი და ერთი სული მქონდა, ხალიჩაზე გავსულიყავი.

— ტრავმა ბოლომდე მოირჩინე?

— ერთ კვირაზე მეტია, ჩვეულებრივად ვვარჯიშობ. ჯამში დიდი დრო არ გამიცდენია. ასე რომ,საგანგაშო არაფერია. ხანმოკლე შესვენება ხანდახან საჭიროც კია. თან მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ციკლი ახლა იწყება. გუშინ ბაკურიანში ჩამოვედით და დღეს უკვ ვივარჯიშეთ.

— თბილისის ტურნირზე შენს წონაში ოთხივე მედალი ქართველებმა აიღეს. ესე იგი, შიდა კონკურენცია საკმაოდ ამაღალია.

— 84 კილოგრამი მართლაც გამორჩეულად ძლიერი წონაა. სხვა წონებში ორი-სამი მთავარი კანდიდატია გამოკვეთილი, აქ კი ბევრად მეტი, თითქმის თანაბარი დონის მოჭიდავეა. მიხარია, რომ ეს ტურნირზეც გამოჩნდა და არც ერთი მედალი სტუმრებს არ გავატანეთ.

— მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ხარ. თქმაც არ უნდა, შენს წინააღმდეგ ყველა განსაკთრებული მონდომებით იჭიდავებს. ორი წლის წინანდელი ოქრო დამატებით ტვირთად ხომ არ დაგაწვება?

— მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული არანაირი დამატებითი ტვირთი არაა. მთავარია, შენ თვითონ ზედმეტად არ იფიქრო ამაზე. ოქროს მედალი ორი წლის წინ მოვიპოვე და ამით ოცნება ავისრულე. ახლა კი ყველაფერი თავიდან იწყება.

— ამ ორ წელიწადში ხომ არ გამოჩნდა ახალი სახე, სექტემბერში ფავორიტებში გარევას რომ შეძლებს?

— ირანში, საკლუბო ჩემპიონატზე ჭიდაობისას ერთ ძალიან ძლიერ იქაურ ბიჭს შევხვდი. კი მოვუგე, მაგრამ ახალგაზრდაა და, ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ მოუმატებს. სხვა სიახლე არ შემიმჩნევია... ალბათ, ისევ ძველი იბრძოლებენ მედლებისთვის, თუმცა ასეთ ტურნირზე ბევრი მოულოდნელობა ხდება. შეიძლება, ისეთი ვინმე გამოჩნდეს და გაჩემპიონდეს, არავინ რომ არ ელოდება. ისე გამომდის, თითქოს უკვე ჩინეთში მივდიოდე. ტიტულის დაცვაზე ფიქრის დაწყებამდე მთავარი ამოცანა ნაკრებში მოხვედრაა. ჯერ შიდა კონკურენციაა გადასალახი.

— წლეულს ერთი დიდი ტურნირი, ევროპის ჩემპიონატი, უმეტლოდ მოიარე. სამი თვის შემდეგ რას თვლი წარუმატებლობის მიზეზად?

— აზრი არ შემცვლია. მოსკოვური ევროპირველობისთვის ისეთი მონდომებით მოვემზადე, ზედმეტიც კი მომივიდა. ცოტა ნაკლებად ნავარჯიშევი აშკარად უკეთ ვიჭიდავებდი. თან პირველსავე წრეში რუს საიტიევს შევხვდი და ყველაფერი დასრულდა. წარუმატებელი პერიოდი ყველა სპორტსმენის კარიერაში მოიძებნება. მთავარია, ის დიდხანს არ გაიწელოს.

ოთარ გაღლაკელიძე

სახეზე გატყობთ კმაყოფილებას

კოტე ტულუშისთვის რუსთავიც კარგია და ამერიკელიც

ეროვნული ნაკრების კანდიდატები ფედერაციამ უკვე გამოაცხადა — 15 მოთამაშიდან საბოლოოდ 12 უნდა შეირჩეს და საევროპო შემადგენლობაც ეს იქნება. გამოძახებულთა შორის 2 ახალი სახეა — კოტე ტულუში და გიორგი შერმადინი. შერმადინი სულაც დებიუტანტია, ტულუში კი 2 წლის წინ ირიცხებოდა დრაჟენ ბრაიკოვიჩისეულ ნაკრებში, თუმც შარშან გორდონ ჰერბერტის რჩეულთა შორის ვერ მოხვდა. ტულუში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია და „ავიამშენმა“ რომ ოქრო მოიგო, მისი დიდი დამსახურებაა. ახალი სეზონიდან ტულუში „რუსთავის“ აზოტს დაეხმარება ჩემპიონობის მოპოვებაში. მას სიტყვიერი შეთანხმება აქვს ქვემოქართლელებთან და მალე ალბათ კონტრაქტსაც გააფორმებს.

— ჯერ ოფიციალურად არაფერი გადაწყვეტილა, რუსთავულ კლუბთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და თუ არაფერი შეიცვალა, შუა კვირაში ალბათ კონტრაქტს გავაფორმებ.

— გასული სეზონის პირველი ნაწილი ირანში ითამაშე. ამბობდი, სპარსელები კვლავ მეპატიჟებიანო...

— ირანში აღარ მივდივარ. მალე შვილი შემეძინება და მინდა, ოჯახთან ერთად ვიყო. „ავიამშენში“ კარგი სეზონი გავატარე, ჩემპიონი გავხდი და ტიტულის დაცვასაც ვაპირებდი, თუმც „აზოტისგან“ საინტერესო შემოთავაზება მივიღე. რუსთავში ძლიერ გუნდს აკეთებენ და იმედია, მეც იქ ვიქნები.

— ნაკრების 15-კაციან შემადგენლობაში მოხვდი. შეკრებას რა განწყობით ხვდები?

— ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და 5 აგვისტოს ნაკრების შეკრებას სასურველ ფორმაში შევხვდები. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის და 12 კაცშიც მოვიპოვებ ადგილს.

— შემონდ უილიამსი აღარ ჩამოდის და გამთამაშებლის პოზიციაზე ალბათ იმხელა კონკურენცია აღარ იქნება, რაც აქამდე იყო...

— მგონი, შემონდი აღარ ჩამოდის, მაგრამ გავიგე, რომ სხვა ამერიკელი გამთამაშებელი მონახეს. ამას წინათ წავიკითხე, ფრანგული „სტრასბურის“ ჯონ ლინანი შეცვლის შემონდ უილიამსსო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ამპლუის მოთამაშე გვემატება, მე ყველანაირად მივესალმები ამ ამბავს. სანამ შემონდ უილიამსი ჩამოვიდოდა, ნაკრებს გამთამაშებლის პრობლემა აწუხებდა და ახლაც თუ ამერიკელს შევიმატებთ, ძალიან გამიხარდება.

— თუ ლინანი ჩამოვიდა, ძირითადში მოხვედრა გაგიჭირდება...

— ეგ არაფერია, ჯანსაღ კონკურენციას რა ჯობია. მე ყველანაირად ვეცდები, ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო და თუ სხვა მაჯობებს, განზე გავდგები.

ირაკლი პერტაია

დორტმუნდის სუპერტურნირი

28 ივლისი — 6 აგვისტო

ჯობავას გამბიტმა სვიდლერი ვერ აცდუნა

ფლევანდელი დორტმუნდის თამაშებით მოჭადრაკეები უკმაყოფილონი არიან, ჩივიან, 40 გრადუსი სიცხეა და ორგანიზაციაც ცუდიაო. მიუხედავად ამისა, ტურნირი შაბათს მაინც დაიწყო და საინტერესო პარტიებიც გათამაშდა.

სუპერტურნირი წაგებით დაიწყო ბაადურ ჯობავამ, თეთრი ფიგურებით რუს პეტერ სვიდლერთან 56-ე სვლაზე დამარცხდა და ჯერჯერობით ცხრილის ფსკერზეა.

პარტია ქართველმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ორი პაიკი გამოიყვანა წინ და უკან მხედარი ამოუყენა. სვიდლერი თავიდანვე იერიშებს შეუდგა, მხედარი თეთრებისკენ გააჭენა და მე-5 სვლაზე გაცვალა. ბრძოლა ლაზიერის ფლანგზე გაგრძელდა და მეტოქეებმაც ძირითადი დამრტყმელი ძალები აქეთ გადმოისროლეს. ჯობავა თანდათან გააქტიურდა, შავების ფიგურებს სამოძრაო გზები მოუსპო და ეტლ-ლაზიერი დიდი იერიშისთვის შეამზადა. 27-ე სვლაზე ქართველმა ხელმწიფის ფლანგიდანაც დაარტყა რუსს, კიდევ უფრო უკან დაახევინა ჯარი და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. თავის გადასარჩენად სვიდლერმა ეტლ-ლაზიერი დააწყვილა, ჯობავას ფიგურებს შეუტია და მდგომარეობა ცოტა გამოასწორა. ამის შემდეგ რუსმა ქართველის იერიშები იოლად მოიგერია, თვითონაც სახიფათოდ დაარტყა და შამათიც ჩაუსვა. წაგების მიუხედავად, სპეციალისტებს ჯობავაზე აუცი მაინც არ უთქვამთ. მეტიც, მისი თამაში მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვისას შეადარეს.

I ტური

მაიკლ ადამსი (ინგლისი)	0,5:0,5	ლევონ არონიანი (სომხეთი)
ბაადურ ჯობავა (საქართველო)	0:1	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
ბორის გელფანდი (ისრაელი)	0,5:0,5	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1:0	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)



იმარჯვა უნგრელმა პეტერ ლეკომაც, რომელმაც სვიდლერის დარად იმარჯვა მან დორტმუნდის შარშანდელი მომგები, მასპისძელთა მთავარი იმედი არკადი ნაიდიჩი 34-ე სვლაზე შემუსრა.

ლაშა გეგეჭკორი

ᲑᲔᲠᲒᲙᲕᲘᲡᲢᲡ ᲪᲐᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ ᲣᲑᲠᲫᲜᲝᲑᲡ

კაისა ბერგკვისტი მაღლა და მაღლა მიიწევს

12 ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ, 12 გამარჯვება! ძნელი წარმოსადგენია, ასაფა პაუელს წლეულს ვინმემ ყურებზე ხახვი დააჭრას, მით უმეტეს, რომ ჯასტინ გეტლინი დოპინგთან „მეგობრობაზე" ჩავარდა და სეზონში კი არა, ვინ იცის, საერთოდ ჩამოაშორონ სპორტს.

პაუელს არც ლონდონის გრან პრიზე დაუყენებია ეჭვქვეშ თავისი პირველობა. ოდნავ პირქარშიც ისეთი შედეგი აჩვენა, უმაღლესი კლასის სპრინტერები მთელი კარიერის განმავლობაში რომ ამაოდ ეწვალებიან. იამაიკელმა 100 მეტრი 9,91 წამში დაფარა და მთელი მეათედი წამით მიასწრო ფინიშთან ამერიკელ ლეონარდ სკოტს. მოკლედ, სადაც ის დარბის, სხვებს ისღა დარჩენიათ, წინასწარვე შეეგუონ მეორე ადგილს, რაც — რა დასამალია და — ცოტა დამამცირებელიც კია მსოფლიოს უსწრაფესი ჯეილებისთვის.

გაცილებით საინტერესო გამოვიდა ლონდონის 200-მეტრიანი გარბენი. ამ სახეობას არ ჰყავს გამოკვეთილი ყოჩი და ვინ იცის, ეს იქნებ უკეთესიცაა. მაიკლ ჯონსონის ლეგენდარულ რეკორდს, 19,32 წამს ჯერ ვერავინ უახლოვდება, თუმც რამდენიმე სპრინტერი მაინც გვარიან შედეგებს აჩვენებს. ორმა ამერიკელმა ქსავიერ კარტერმა და ტაისონ გაიმ კვლავ დიდებულად ირბინეს და კვლავ ჩამოსცდნენ 20-წამიან ზღვარს. გამარჯვება ამჯერად გაის დარჩა, ვინაც 19,84 წამი მოანდომა 200 მეტრს და კუნძულ ბრიტანეთის სტადიონების რეკორდს 0,01 წამი ჩამოაჭრა. ძველი რეკორდი კი მაიკლ ჯონსონისა იყო. ლეგენდარულ ამერიკელს 1990 წელს ედინბურგში 19,85 დრო უჩვენებია. ლონდონში გაის 0,14 წამით ჩამორჩა კარტერი.

ისევ იოლად მოიგო 400 მეტრის ამერიკელმა მონოპოლისტმა ჯერემი უორინერმა და ერთ წრეს კვლავ 44 წამზე ნაკლები მოანდომა — 43,99. ოღონდ მაიკლ ჯონსონს ამ შემთხვევაში ბრიტანეთის სტადიონების რეკორდი შერჩა — 43,98.

სეზონის რეკორდი გამოაცხო 400 მეტრის კიდევ ერთმა ამერიკელმა ვარსკვლავმა, შავმა ქალბატონმა სანია რიჩარდსმა — 49,05 წამში 400 მეტრი წლეულს ჯერ ვერა ქალს ვერ დაუძლევია, თუმც ეს შედეგი მაინც შორს დგას თავად რიჩარდის პირადი რეკორდისგან — შარშან ციურიხში მას 48,92 წამი უჩვენებია.

ისეც ნუ იფიქრებთ, რომ ლონდონს მხოლოდ მორბენლები ეწვივნენ. მძლეოსნობაში სირბილი, ცხადია, ყველაზე პოპულარული განხრაა, თუმც ნურც მხტომელებს დავუკარგავთ თავისას, მით უფრო, რომ შვედმა სიმაღლეზე მხტომმა გოგომ, კაისა ბერგკვისტმა სეზონში სარეკორდოდ მაღალი, 205 სანტიმეტრზე გადებული თამასა დასძლია და ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდსაც შეუტია — 209 სანტიმეტრს. აქ მან 210-ზე მოინდომა გადახტომა და ეს თითქმის მოახერხა, მაგრამ „თითქმის" არ ითვლება და ძველი რეკორდიც ტანშეუხებელი დარჩა. ისე კი, კაისა რამე კარგ შედეგს რომ აჩვენებს, მაგალითად, 202 სანტიმეტრს, ან თუნდაც ლონდონურ 205-ს, მერე გაალმასებული იწევს 210-ზე და წელს ისეთ კარგ ფორმაში ჩანს, ვინ იცის, სადღაც მაინც მოახერხოს მანამდე ქალთა მიერ დაუძლეველი სიმაღლის დაძლევა.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

ᲛᲝᲠᲩᲐ �გᲔᲢᲚᲘᲜᲘ?

100 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ორჯერ 9,77 წამში გამრბენი და მსოფლიოს რეკორდსმენი ასაფა პაუელი ტურნირს ტურნირზე იგებს და თავის აღმატებას მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, მაშინ, როდესაც ტრიბუნებს, კარგა ხანია, არ უნახავთ ამ რეკორდის თანამფლობელი ჯასტინ გეტლინის ჩაქროლვა. ყველას ეგონა, რომ გეტლინი, უბრალოდ, ემალებოდა პაუელს და სარბენ პილიკებზე მის მხარდამხარ დგომა-სირბილს თავს არიდებდა. 2004 წლის ოლიმპიადისა და 2005-ის მსოფლიოს ჩემპიონი, დიახაც, დიდ შიშიანობაშია, მაგრამ მის ფიქრებს ასაფა პაუელზე უფრო შავი მაჯლაჯუნა აწვება. დიდი შანსია, გეტლინს, საერთოდ აეკრძალოს ოფიციალურ ტურნირებზე სირბილი.

როგორც ირკვევა, ამერიკელი სპრინტერი სახლში ზის და ყოველდღე ელის ცნობას, რომელიც მას სამუდამოდ ჩამოაშორებს მძლეოსნობას. ყველაფერში დამნაშავეა აკრძალული ნივთიერება ტესტოსტერონი, რომელიც მას 22 აპრილს კანზას სიტიში ტურნიში მონაწილეობის დროს სისხლში აღმოაჩნდა. ზოგიერთი პრველწყარო, მაგალითად, „ნიუ იორკ ტაიმსი" იტყობინება, რომ გეტლინს განმეორებითი დოპინგ-ტესტიც ჩაუტარდა, რომელმაც ასევე დადებითი შედეგი აჩვენა, რაც უკვე სპორტული კარიერის დასასრულს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ჯერ არსად გამოჩენილა ცნობა, რომ ამერიკელი მორბენალი უკვე დისკვალიფიცირებულია.

გეტლინი პირველად არ ჩავარდნილა დოპინგ-ტესტზე. ადრე მის სისხლში ასევე არძალული ნივთიერება ამფეტამინი აღმოჩნდა, მაგრამ მაშინ მისმა ადვოკატმა მოახერხა და სპორტსმენი სასჯელისგან იხსნა.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲖᲛᲘ

ᲛᲐᲤᲘᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ

ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲑᲝᲡᲘᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იტალიელი მარიო პესკანტე თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგა და, როგორც ვიუწყებოდით, ეს პოსტი უნდა დაეკავებინა ამავე ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრსა და ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტ პატრიკ ჰიკს. მართლაც, შაბათ-კვირას რომში გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე ასამბლეაზე პატრიკ ჰიკი პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო გენერალურ მდივნად — ასევე მოლოდინისამებრ — იტალიელი რაფაელე პენოცი.

საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის მეთაურთათვის პატრიკ ჰიკის დაწინაურება ერთობ სასიამოვნო ფაქტია, რადგან ირლანდიელი მათი ძველი და საუკეთესო მეგობარია.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პატრიკ ჰიკს პრეზიდენტობა მიულოცა, რაკიღა თავადაც მონაწილეობდა რომში გამართულ ოლიმპიელთა თავყრილობაზე.

მარიო პესკანტე პატრიკ ჰიკს თავის მარჯვენა ხელს უწოდებდა და ხუმრობით ძიუდოს მაფიოზად მოიხსენიებდა. პესკანტე ამით თავისი მეგობრის ძიუდოსთან ძველ მჭიდრო კავშირს უსვამდა ხაზს.

„ძიუდოში მაინცდამაინც დიდი მიღწევებით თავს ვერ მოვიწონებ. რამდენჯერმე ირლანდიის ჩემპიონი გავხდი, საერთაშორისო სარბიელზეც ბევრჯერ გამოვსულვარ, თუმცა იქ წარმატებას ვერ ველირსე. ასე რომ, როგორც სპორტსმენს, მოკრძალებული კარიერა მქონდა" — გვითხრა პატრიკ ჰიკმა, ხოლო თავისი, როგორც სპორტული ფუნქციონერის კარიერაზე ამბობს:

„პოპულარობისკენ არასოდეს ვისწრაფვოდი და არც თანამდებობის მოპოვებისთვის მიბრძოლია. ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სპორტს მივუძღვენი და მსურს, ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო".

ამ ხუთი წლის წინათ, როცა ჰიკი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ამავე ორგანიზაციის გენერალურ მდივნად არჩევნების წინ საკუთარ კანდიდატურაზე ამბობდა, რაღა დაგიმალოთ და, თუ ამირჩევენ, ამ თანამდებობაზე სიამოვნებით ვიმუშავებდი, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებაო.

პატრიკ ჰიკი ოთხი შვილის მამაა. როგორც თავად ამბობს, ერთის გარდა ყველას ძალიან უყვარს სპორტი. ერთი რაგბის თამაშობს, მეორე ბალახის ჰოკეის, მესამე კი ფეხბურთითაა გატაცებული. თუმცა ფეხბურთი მთელი ოჯახის დიდი სიყვარულია და ირლანდიის ნაკრებთან ერთად „მანჩესტერ იუნაიტედსაც" გულშემატკივრობს.



ევროოლიმპიზმის წარსული და მომავალი: მარიო პესკანტე და პატრიკ ჰიკი

AFP რომიდან

უყვარს მეგობრებთან ყოფნა, მათთან ჭიქის მიჭახუნება და ქართული ღვინოც, რომელსაც დიდად აფასებს და კარგადაც ერკვევა, განსაკუთრებით მას მერე, რაც საქართველოში მეგობრები გაიჩინა და აქ ხშირადაც ჩამოდის. ყოველ შემთხვევაში, ამ ექვსი წლის განმავლობაში თბილისში ოთხჯერ იყო და ამბობს, ვინც საქართველოში არ ყოფილა, ძალიან ბევრი დაუკარგავსო.

ამიტომაცაა, ყოველი ჩამოსვლის მერე რომ გვპირდება, კიდევ ჩამოვალო.

ჩამოვა კიდეც, ახლა უკვე ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის რანგში.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲩᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. 57-Ე ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲠᲛᲔᲢᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ᲤᲔᲠ-ᲐᲠᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲣᲑᲚᲘ

AFP ᲤᲝᲢᲝᲡᲒᲐᲛᲘᲓᲐᲜ

ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲛᲐ ზედიზედ მესამე, ხოლო მიმდინარე სეზონში მეხუთე დიდი პრიზი მოიგო, ჩემპიონატის ლიდერთან და მოქმედ ჩემპიონთან ფერნანდო ალონსოსთან ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირა და იმის გათვალისწინებით, რომ სეზონის ბოლომდე კიდევ ექვსი ეტაპია დარჩენილი და ბოლო რბოლებში „ფერარი“ ყოველმხრივ ჯაბნის „რენოს“, „წითელი ბარონის“ მერვე ტიტული აშკარად რეალური და ხელშესახები ჩანს.

ჩემპიონატის ორ ბობოლა გუნდს შორის სიტუაცია ამერიკის დიდი პრიზის შემდეგ შეიცვალა. მანამდე ალონსო და მისი „რენო“ მიხაელსა და „ფერარის“ ერთი თავით ჯობნიდნენ, მაგრამ ახლა სურათი კარდინულად განსხვავებულია და ფრანგული საჯინიბოსა და მისი ესპანელი პილოტის, თითქოსდა საჩემპიონო უპირატესობა გაზაფხულის თოვლივით დნება.

ჰოკენჰაიმში, მიხაელის მშობლიურ ტრასაზე ბრძოლა კვლავ არ შედგა და „ფერარი“ მთელი საბრძოლო უიქენდის მანძილზე აშკარად აღემატებოდა „რენოს“.

რენოელთა პრობლემები უკვე კვალიფიკაციისას გამოჩნდა და ალონსო მთელი საკვალიფიკაციო სესიის მანძილზე ერთადერთხელ გამოირჩა — მაშინ, როდესაც კვალიფიკაციის ბოლოს ესპანელი პიტ-ლაინზე შედიოდა, მის წინ მიხაელის „ფერარიმ“, უაღრესად სახიფათოდ გამოყო ცხვირი და ცოტაც, და ავარია მოხდებოდა. ამის გამო ესპანელი ძალიან უკმაყოფილო იყო: „ის არ იყურებოდა, როდესაც ბოქსებიდან გამოდიოდა. არადა, მე პიტ-ლაინზე შევდიოდი და პრიორიტეტი ჩემი იყო. მაგრამ მას ეს არ ანაღვლებდა. შუმახერი, უბრალოდ, პატივს არ სცემს წესებს და ვიმედოვნებ, რომ სტიუარდები დაწვრილებით გამოიკვლევენ მომხდარს“.

შუმახერი ამ ყველაფერს ფილოსოფიურად შეხვდა: „წარმოდგენა არ მქონდა, თუ ალონსო ასე ახლოს იმყოფებოდა. მე ბოქსებიდან გამოსვლის ნება მომცეს და გამოვედი. თუ მას ამის გამო პრობლემები შეექმნა, ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ასეთი რამეები ხდება ხოლმე. ისე, იმედი მაქვს, რომ ფერნანდო რბოლისას იმაზე უკეთესი არ იქნება, კვალიფიკაციისას რომ იყო“.

შუმის იმედები ასი პროცენტით გამართლდა. ალონსომ მთელი უიქენდი ჩაფლავა და, რომ არა მარკ ვებერის გამოთიშვა რბოლის მიწურულს და ჯანკარლო ფიზიკელას მიერ თანაგუნდელისთვის მოწინავე პოზიციის დათმობა, ესპანელი სულაც ორი ქულით დაკმაყოფილდებოდა და მისი უპირატესობა ამ წუთისთვის, არა 11, არამედ 9 ქულაღა იქნებოდა.

კვალიფიკაცია კი, პირველად მიმდინარე სეზონში, „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელმა პილოტმა კიმი რაიკონენმა მოიგო. ჰოკენჰაიმი „მერსედესის“ მშობლიური ტრასაა და კიმიმ შაბათს ხომ იმარჯვა და კვირასაც მშვენივრად ირბოლა, მაგრამ „ყინულის კაცი“ უცნაური ტაქტიკის მსხვერპლი გახდა — ფაქტი იყო, რაიკონენი კვალიფიკაციისას მსუბუქი მანქანით ასპარეზობდა, მაგრამ ასე მალე, უკვე მეათე წრეზე თუ შევიდოდა ბოქსებში, მაინც ძნელი წარმოსადგენი გახლდათ. არადა კიმიმ ბრწყინვალედ დაიწყო, სასტარტო პოზიცია უპრობლემოდ შეინარჩუნა და პირველი პიტსტოპისას მთელი 16 წამი რომ გაჩერდა ბოქსში და ბლომად საწვავი ჩაისხა, სავარაუდოდ, თითქოს ორ პიტ-სტოპიანი ტაქტიკა ჰქონდა, მაგრამ, ზუსტად შუა დისტანციაზე ფინელმა მეორედ მიაკითხა ბოქსებს, ბოლოსკენ — მესამედაც და, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ლიდერები ორ-ორჯერ იყენენ ბოქსებში, რაიკონენმა რამდენიმე ლამაზი გასწრების წყალობით მაინც შედგა პოდიუმზე ფეხი და გვერდი ფერარელებს — მიხაელსა და ფელიპე მასას დაუმშვენა.

ესენი კი, ანუ უფროსი შუმახერი და მასა რაიკონენის პირველი პიტ-სტოპის შემდეგ რომ გავარდნენ წინ, ბოლომდე რბოლის სათავეში დარჩნენ ამავე თანმიმდევრობით — სუბორდინაცია „ფერარიში“ ყოველთვის უმაღლეს დონეზე იყო და, სავარაუდოდ, „სკუდერიას“ შეფებისგან გაფრთხილებულ ბრაზილიელს ერთხელაც არ შეუტევია თანაგუნდელისთვის. შედეგად, ინდიანაპოლისის დარად, „ფერარიმ“ ჰოკენჰაიმშიც დუბლი შეასრულა და ახლა იტალიური საჯინიბო ფრანგულს კონსტრუქტორთა თასის ჩათვლაში 10 ქულითაც ჩამორჩა. არადა, ჩემპიონატის ერთი მესამედი ჯერ წინაა და წყალი არ გაუვა — დიდი ომები გველის. ამათგან უახლოესი ერთ კვირაში, უნრეთის დიდი პრიზისას, „ჰუნგარორინგზე“ იქნება და იქ გამოჩნდება, „რენოს“ კრიზისი მართლაც ასე ღრმა თუ არის.

ᲒᲘᲐ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ

ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ
30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲰᲝᲙᲔᲜᲰᲐᲘᲛᲠᲘᲜᲒᲘ
დისტანცია 67 წრე — 306,458 კმ

1.	(2)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:27.51,7 (209,3 კმ/სთ)
2.	(3)	მასა (ფერარი)	ჩამორჩა 0,7
3.	(1)	რაიკონენი (მაკლარენი)	13,2
4.	(4)	ბატონი (ჰონდა)	18,8
5.	(7)	ალონსო (რენო)	23,7
6.	(5)	ფიზიკელა (რენო)	24,8
7.	(13)	ტრული (ტოიოტა)	26,5
8.	(12)	კლიენი (რედ ბული)	48,1
9.	(8)	რ. შუმახერი (ტოიოტა)	1.00,3
10.	(17)	ლიუჩი (ტორო როსო)	1 წრით
11.	(10)	კულჰარდი (რედ ბული)	1 წრით
12.	(22)	სპიდი (ტორო როსო)	1 წრით
13.	(18)	ალბერსი (MF 1)	1 წრით
14.	(20)	მონტეიერო (MF 1)	2 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(11)	ვებერი (უილიამსი)	გაიარა 59 წრე
(19)	სატო (სუპერ აგური)	38
(14)	ვილნევი (BMW-ზაუბერი)	30
(6)	ბარიჩელო (ჰონდა)	18
(16)	ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)	9
(9)	დე ლა როსა (მაკლარენი)	2
(21)	იამამოტო (სუპერ აგური)	1
(15)	როსბერგი (უილიამსი)	0

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

ᲞᲝᲣᲚᲘ
რაიკონენი — 1.14,070 (222,3 კმ/სთ)

ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ ᲬᲠᲔ
მ. შუმახერი — 1.16,357 (215,65 კმ/სთ)

		ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲘ 12 მარტი	ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ 19 მარტი	ᲐᲕᲡᲢრᲐᲚᲘᲐ 2 აპრილი	ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲘᲜᲝ 23 აპრილი	ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐ 7 მაისი	ᲡᲐᲜᲢᲐ ᲙᲚᲐᲠᲐ 14 მაისი	ᲛᲝᲜᲐᲙᲝ 28 მაისი	Მ.ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ 11 ივნისი	ᲙᲐᲜᲐᲓᲐ 25 ივნისი	ᲡᲘᲠᲘ 2 ივლისი	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲡᲘ 16 ივლისი	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 30 ივლისი	ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ 6 აგვისტო	ᲣᲠᲒᲕᲔᲗᲘ 27 აგვისტო	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 10 სექტემბერი	ᲩᲘᲜᲔᲗᲘ 1 ოქტომბერი	ᲘᲐპᲝᲜᲘᲐ 8 ოქტომბერი	ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ 22 ოქტომბერი	ᲯᲐᲛᲘ
1	ᲐᲚᲝᲜᲡᲝ რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8	10	10	10	10	4	8	4								100
2	მ. ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ ფერარი, გერმანია	■ 8	3	–	■ 10	10	8	4	8	8	■ 10	■ 10	10								89
3	ᲛᲐᲡᲐ ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–	4	4	8	6	8								50
4	ᲤᲘᲖᲘᲙᲔᲚᲐ რენო, იტალია	–	■ 10	4	1	3	6	3	5	5	6	3	3								49
5	ᲠᲐᲘᲙᲝᲜᲔᲜᲘ მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–	6	6	–	4	■ 6								49
6	ᲛᲝᲜᲢᲝᲘᲐ მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8	3	–	–	–	–								26
7	ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	■ –	2	–	3	–	–	–	–	–	5								21
8	ᲑᲐᲠᲘᲩᲔᲚᲝ ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5	–	–	3	–	–								16
9	რ. ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1	–	–	–	5	–								13
10	ᲰᲐᲘᲓᲤᲔᲚᲓᲘ BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2	2	2	–	1	–								13

კულჰარდი, ტრული — 10, ვილნევი — 7, ვებერი — 6, როსბერგი — 4, დე ლა როსა, კლიენი — 2, ლიუჩი — 1 ქულა

■ ᲞᲝᲣᲚ-ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ: *რენო 149, ფერარი 139, მაკლარენი 77, ჰონდა 37, ტოიოტა 23, BMW ზაუბერი 20, რედ ბული 12, უილიამსი 10, ტორო როსო 1*

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲡᲐᲬᲧᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲨᲘ
ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ
26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ – 7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

AFP ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘᲓᲐᲜ

ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲐᲣᲠᲔᲠᲘ

ᲠᲣᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡᲨᲘ რამდენიმე დღის წინ დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე სანამ ტრადიციულ, აუზში მოცურავეები გაისველებდნენ ტან-ფეხს, ღია წყლის მოცურავეებმა თავისი გასაცური უკვე გაცურეს. ბალატონის ტბიდან 3 ოქრო ამოიღეს გერმანელებმა, სულ კი ღია წყალში მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდა. კაცთა 5 და 10-კილომეტრიან დისტანციებზე ტომას ლუცის წყვილ ოქროს მესამე მიამატა ქალთა 25-კილომეტრიანი, მარათონული გაცურვის მომგებმა, ფროილაინ ანგელა მაურერმა. კაცებში კი კვირას 25 კილომეტრზე ყველას ფრანგმა ჟილ როდნიმ ავჯობა, რომელიც ამ მანძილს 5 საათი, 10 წუთი და 17,3 წამი მიაპობდა.

ღია წყალში თუ გერმანელები მძლავრობდნენ, სინქრონულად მოცურავე რუსმა გოგონებმა საერთოდ არავინ ვაკარეს ევროპულ ოქროს. შაბათსა და კვირას გათამაშებული მედლების ოთხივე კომპლექტში ოქრო მათ ამოარჩიეს და ევროპას უთხრეს, დანარჩენი ვერცხლი და ბრინჯაო თქვენი იყოს, ვისაც გინდათ, გაიყავითო. სოლო ჩვენებაში ნატალია იმჩენკომ მოიგო, დუეტში ანასტასია დავიდოვას და ანასტასია ერმაკოვას წყვილმა იმარჯვა. ამ სამივემ მერე გუნდთან ერთად კიდევ ორი ოქრო ირგუნა გუნდურ და თავისუფალ ჩვენებაში.

ᲦᲘᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ

25 ᲙᲛ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1 ჟილ როდნი (საფრანგეთი)	5:10.17,3
2 ანტონ სანაჩევი (რუსეთი)	5:10.18,2
3 სტეფან გომერი (საფრანგეთი)	5:10.19,3

25 ᲙᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1 ანგელა მაურერი (გერმანია)	5:35.19,1
2 ნატალია პანკინა (რუსეთი)	5:35.25,1
3 სტეფანი ბილერი (გერმანია)	5:35.29,5

ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲔᲠᲗᲘᲗᲣᲚᲔᲑᲘ

1 ნატალია იშჩენკო (რუსეთი)	98,4
2 ხემა მენგუალი (ესპანეთი)	97,7
3 ნატალია ანტოპულო (საბერძნეთი)	93,9

ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ

1 რუსეთი (დავიდოვა, ერმკოვა)	97,9
2 ესპანეთი	
3 იტალია	

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ

1 რუსეთი
2 ესპანეთი
3 იტალია

AFP კოლაჟებიდან

აგუსტინ კალერის სიხარული უსაზღვრო იყო

შავი დღე: იანკეებმა ვერაფერი შაიტყვეს

კაცები
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 646 250 €

ნახევარფინალი
აგუსტინ კალერი (9, არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (5, ესპანეთი) 4:6 6:1 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (7, გერმანია) — მიხაილ იუჟნი (8, რუსეთი) 6:2 4:6 6:4

ფინალი
აგუსტინ კალერი (9, არგენტინა) — **ხუან-იგნასიო ჩელა** (7, გერმანია) 7:6 6:2 6:3

კაცები
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 340 250 €

ნახევარფინალი
ნოვაკ ჯოკოვიჩი (4, სერბეთი) — **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) 6:1 7:5; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — **ფილიპო ვოლანდრი** (8, იტალია) 7:5 2:6 6:4

კაცები
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 500 000 $

ნახევარფინალი
დმიტრი ტურსუნოვი (8, რუსეთი) — **ფერნანდო გონსალესი** (3, ჩილე) 6:4 6:2; **ტომი ჰაასი** (6, გერმანია) — **დომინიკ ჰრბატი** (7, სლოვაკეთი) 6:2 7:5

ქალები
სტენფორდი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 600 000 $

ნახევარფინალი
კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — **ნიკოლ ვაიდიშოვა** (3, ჩეხეთი) 7:5 6:2; **პატი შნიდერი** (2, შვეიცარია) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) 7:6 6:1

ქალები
ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

ნახევარფინალი
ანა სმაშნოვა (8, ისრაელი) — **მარტინა მიულერი** (გერმანია) 6:4 6:3; **ლურდეს დომინგეს ლინო** (5, ესპანეთი) — **მიქაელა კრაიჩეკი** (2, ჰოლანდია) 6:3 6:4

ფინალი
ანა სმაშნოვა (8, ისრაელი) — **ლურდეს დომინგეს ლინო** (5, ესპანეთი) 6:1 6:3

მთელი კვირა იმას ვიუწყებოდით, ლოს ანჯელესის ტურნირი ამერიკელთა ზეობით მიმდინარეობსო და საბოლოოდ ისე გამოვიდა, კალიფორნიელი ტიტულისთვის გერმანელი და რუსი დაჯიჯგნიან ერთმანეთს.

შავი გამოვიდა პარასკევი ღამე იანკთათვის — საკუთარი მაყურებლის წინაშე ოთხი ამერიკელი მეოთხედფინალისტიდან შემდეგ წრეში ერთმაც ვერ გააღწია. უფრო სწორად სამმა, რადგანაც ენდი როდიკს ‘მხარი დაუზიანებია და სათამაშოდ საერთოდ არ გასულა, რითაც დმიტრი ტურსუნოვი ახეირა. რუსმაც კარგად შეირგო ეს საჩუქარი, ნახევარფინალიც მოიგო (თან ანდრე აგასის მძლეველი ფერნანდო გონსალესი დაამარცხა) და კარიერაში პირველ ფინალსაც უწია.

აი, ტომი ჰაასისთვის კი ამერიკული მიწა ძალიან იღბლიანია. ისე, ეს კაცი გერმანელია კია, მაგრამ 10 წლიდან ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს და თავისი მეორე “სამშობლოშიც“ ყველაზე უკეთ გამოსდის თამაში. აგერ ახლა ფინალშია და წლეულს მოგებული ორი ტიტულიც იქაურ მიწაზე მოიპოვა — დელრეი ბიჩში და მემფისში.

ამა წლის ერთ-ერთი უკანასკნელი სათიხნარო ტურნირის ბედი კი ამ საფარის დიდმა სპეციალისტებმა — არგენტინელებმა გაითამაშეს. კიცბიუელში მეორე ეშელონის პატაგონიელებმა გაიხარეს და ფინალში აგუსტინ კალერი და ხუან-იგნასიო ჩელა დაეტაკნენ ერთმანეთს.

თუმც ფინალმა საერთოდ ვერ გამართლა — არც დერბის საკადრისი თანაბარი ორთაბრძოლა ყოფილა და არც სატიტულო მატჩის დაძაბულობა. კალერის თავიდან ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ მერე სასტიკად მიჩოგნა თანამემამულე და კარიერაში მეორე ტიტულიც დაიბეკა.

ხორვატიულ უმაგში კი ნოვაკ ჯოკოვიჩს ზედიზედ მეორე ტურნირის მოგება შეუძლია. 18 წლის სერბმა პირველი კარიერული გამარჯვება ერთი კვირის წინ, ამერსფოორტში მოიპოვა და ახლა დუბლის გაკეთებაც შეუძლია. ჯოკოვიჩს ამის მიღწევა ნამდვილად ხელეწიფება, რადგანაც ფინალში სტანისლას ვავრინკას დაეტაკება, ეს კი დაუძლეველი ბარიერი ნამდვილად არ უნდა იყოს სერბი თინეიჯერისთვის.

სტენფორდში კიმ კლაისტერს-ნიკოლ ვაიდიშოვას ნახევარფინალი უაღრესად ლამაზი საცქერი გამოდგა. მაღალი დონის ჩოგბურთი გაჩაღდა, სადაც მეტოქეები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და პირველი სეტიც ტაი ბრეიკისკენ წავიდა.

კლაისტერსის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა, თან ყველაზე საჭირო მომენტში — ვაიდიშოვას სეტ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ბელგიელმა მეორე მოწოდებაზე, ისე რომ ორმაგს არ შეუშინდა, ეისი ჩააგდო. აქედან 5 წუთში კი ბრეიკიც გაკეთა და პირველი პარტიაც დაისაკუთრა,

მეორეში კლაისტერსის უპირატესობა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა და მან კიდევ ერთხელ უწია ფინალს სტენფორდში — კიმს მანმადე აქ სამჯერ უმარჯვია.

ფინალში კლაისტერსს სერიოზული ჯახი ელის, რადგანაც პატი შნიდერი არაფრის დამთმობი არ სჩანს და შშვენიერ ფორმაშიც იმყოფება.

ბუდაპეშტში კი ანა სმაშნოვამ იმარჯვა და კარიერაში მეთორმეტე ტიტულიც მოიგო.

ძახა ლომაჯვილი

AFP სტენფორდიდან

პატი შნიდერი

სამი ერი 2006

ყოჩი რიჩი და ფიჯელი ჯო

ავსტრალია 9:13 ახალი ზელანდია

ავსტრალია: ლატამი, ჯერარდი, მორტლოკი, ჟიტუ, ტუკირი, ლარკემი, გრეგანი (კაპ); ფავა, სმიტი, ელსონი, ვიკერმანი, შარპი, ბლეიკი, ჰოლი, ხოლმსი ოლსომი
შეცვლაზე შევიდნენ: მაკისააკი, შეპერცონი, ჰალუ, როჯერსი, რეთბოუნი
3 ს: მორტლოკი
ახალი ზელანდია: მაკდონალდი, გიარი, მულიაინა, მეიჯორი, როკოსოკო, კარტერი, კელეჰერი; სოოლაიო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, უილიამსი, ჯეკი, ჰეიმანი, მიილამუ, ვუტკოკი
შეცვლაზე შევიდნენ: ჰორი, სომერვილი, მაკალისტერი, ტოეავა
1 ლ: როკოსოკო; 1 გ: კარტერი; 1 ს: კარტერი; 1 ა: კარტერი

სამი ერის მეორე წრე ავსტრალია — ახალი ზელანდიის სასეირო ჯახით დაიწყო, ოღონდ თუ ტურნირის სადებიუტო მატჩი ველინგტონში იყო, ამ ჯერზე მეტოქეებმა სტუმარ-მასპინძლობა გაცვალეს და ლაღი რაგბობა ავსტრალიურ ბრისბენში შედგა.

ავსტრალიას ვერც საკუთარმა მოედანმა უშველა. ახალი ზელანდიის წაქცევას მონატრებულმა „ვოლაბებმა“ მოედნის ყველა გოჯიდან შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ ძალუმი მიძალებით მაინც ვერ გატეხეს „შავები“. ერთი კია, თუ ტურნირის პირველ დღეს ავსტრალია ველინგტონში მაგრად განადგურდა, შინ „საპატიო“ სხვაობით წააგო და ამ წაგებითაც ნახა სარგებელი. შვიდი და ნაკლები ქულით მარცხისთვის „ვოლაბებმა“ ცხრილში პრემიალური ქულა ჩაიწერეს.

უპრემიოდ დარჩა ახალი ზელანდია, მაგრამ საცხრილო 13 ქულით სეფეგუნდობა მინიმუმ ორი ტურით მაინც გარანტირებული აქვს. თანაც მთავარი კონკურენტი, ავსტრალია, შინ და გარეთ მინგრეული ჰყავს და დადედლებულ სამხრეთ აფრიკას საკუთარ მოედანზე რომ გადაუვლ-გადმოუვლის, თქმა არ უნდა.

სამი ერი წლეულს პირველად ტარდება სამ წრედ. აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ახალი ზელანდია ძალით არ წააგებს დარჩენილ სამ მატჩს, სამხრეთ ნახევარსფეროს ჩემპიონობას ვერაკინ შეეცილება.

ბრისბენში ავსტრალიის დამარცხებით კი „ოლ ბლესმა“ ოთხ ქულასთან ერთად, „ვოლაბებთან“ საცილო „ბლედისლოუს თასიც“ მოიგო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „ოლ ბლექსის“ შემმარი ყოჩი რიჩი მაკქოუ, ვინც თავისი დაუნდობელი შებოჭვებით მოძალებული მეტოქე ბარე ოცჯერ დასცა და თავისიანთა ლელოს არ გააკარა.

გამარჯვების ლელო კი უკვე აღიარებულმა ვარსკვლავმა, ტომით ფიჯემლა ჯო როკოსოკომ გაიტანა. ლელო მართლაც ლამაზი იყო. „შავების“ მარდმა მოიერიშემ მეტოქე მბოჭავებს როკი ელსომს და მეტ ჟიტუს ჩაუდრიბლინგა, ხოლო ბოლო მცველი კრის ლატამი განზე დატოვა და ავსტრალიელთა ლელოში შურდულიდან ნატყორცნივით შეევარდა.

გაჩო სვანიძე

სატურნირო ვითარება

ახ. ზელანდია	3	0	0	+42	13
ავსტრალია	1	0	2	+25	6
ს. აფრიკა	0	0	2	-67	0



AFP ბრისბენიდან

თამაშში ერთადერთი ლელო ჯო როკოსოკომ დადო

მფრინავი ელენა

ლონდონის კრისტალ პალასში მძლეოსანთა დიდი პრიზი თამაშდება და რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევაც ახლა იქ დაფრინავს.

AFP ლონდონიდან

AFP ჰოკენჰაიმიდან

საფორმულე ფუსფუსი

ჰოკენჰაიმში გერმანიის დიდი პრიზი გათამაშდა. საფორმულე საჯინიბოებში ბევრ ცნობილ სახეს წახავდით. „რენოს“ პილოტი ფერნანდო ალონსო დაბადების დღეს აღნიშნავს და თავისიანებთან ერთად მისჯდომია სადღესასწაულო ტორტს. რალფ შუმახერის ცოლი კორინა მენეჯერ ვილი ვებერთან ერთად დაეძებს თავის ქმარს. განთქმულ მოცურავეს ფრანცისკა ვან ალმსიკს კი საფორმულე ფუსფუსი მოსწონებია.

AFP ჰოკენჰაიმიდან

AFP ჰოკენჰაიმიდან

მსოფლიო და ევროპა

ნატალია იშჩენკო, სინქრონული ცურვის მსოფლიო ჩემპიონი, ახლა ევროპულ ოქროს უმიზნებს. ჩემპიონატი ბუდაპეშტის აუზში მიმდინარეობს. ნატალია ლიდერია.



AFP ბუდაპეშტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible] ავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნ[illegible]ნობაშვილი, [illegible]ორგი ნ[illegible]ზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქ[illegible]ს რედ[illegible]ქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედ[illegible]ცია: [illegible] ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარ[illegible]ან.ა. გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა [illegible]ულაროვა, ლია ბესელია, ხა[illegible]ენა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუ[illegible]ოდან ერისთავი, ზვიად ზოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11 14, 877 54 55 00